# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 21 აპრილი 2005 №88 (2411) ფასი 50 თეთრი




**ჩელსი კალაძეს არ ეშვება**

გალიანიმ აბრამოვიჩს დრო სთხოვა



**ბასტა!**

ასათიანი რუსეთის ნაკრებში ვერ ითამაშებს



**გაიძვერები, ბანდიტები და ბანდიტთა დამჭერები**

ცრუ ჩემპიონებს ნიღაბს ხსნიან

15

# აქეთური–იქითური

## დღეს ჩემპიონატი ორად დაიცენტრება



# ახალი ხმა ახალკაცზე

## პრეზიდენტობის კანდიდატი პრეზიდენტმა მიიღოო





გერმანიიდან სამშობლოში დაბრუნებული ნოდარ ახალკაცი ქვეყნის პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს უკვე შეხვდა — ასე ამბობენ მაღალ, არასაფეხბურთო სამყაროს კულუარებში და თარიღსაც ასახელებენ — შეხვედრა 19 აპრილს გაიმართაო. ქართული საფეხბურთო სამყარო კი ჯერ გაურკვევლობაშია, ზუსტად არ იცის, წამოაყენებს თუ არა ახალკაცი საკუთარ კანდიდატურას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობისთვის.

გუშინ თვითონ ახალკაცს შევეხმიანეთ და მან უარყო სააკაშვილთან შეხვედრის ფაქტი

# ჩელსი კალაძეს არ ეშვება

## გალიანიმ აბრამოვიჩს დრო სთხოვა



ადრიანო გალიანიმ, კახა კალაძის ტრანსფერს დაფიქრება უნდაო

იტალიური თუ ინგლისური პრესა კახა კალაძის თემით მოსალოდნელზე მეტად დაინტერესდა და სიახლეებიც გამოიქვეყნა. გუშინდელი „სარბიელი" თუ არ წაგიკითხავთ, შეგახსენებთ, რომ ლონდონის „ჩელსის" პატრონმა რომან აბრამოვიჩმა „მილანს" ოფიციალურად მიმართა კახა კალაძის ტრანსფერის თაობაზე.

გუშინ კი გაირკვა, რომ „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ განაცხადა, რომ ერნან კრესპოს „ჩელსისგან" გამოსყიდვაზე საბოლოო გადაწყვეტილებას სეზონის ბოლოს მიიღებს. სწორედ კრესპოს სანაცვლოდ ითხოვენ ლონდონელები საქართველოს ნაკრების კაპიტანს.

ინგლისელი ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ აბრამოვიჩი გალიანის ტელეფონით დაუკავშირდა და კრესპოს კალაძეში გაცვლა შესთავაზა, რაზეც „მილანის" ხელმძღვანელმა დრო ითხოვა — ქართველი მცველის ტრანსფერზე დაფიქრება გვმართებსო.

შეგახსენებთ, რომ კალაძეს „მილანთან" კონტრაქტი 2007 წლამდე აქვს გაფორმებული.

**ქახა ზალამბერიძე**







# ბასტა!

## მალხაზ ასათიანი რუსეთის ნაკრებში ვერ ითამაშებს

**მოსკოვის** „ლოკომოტივიდან" იური სიომინის რუსეთის ნაკრებში გადაბარგებას დიდი ხმაური მოჰყვა. სიომინის ნაბიჯს ზოგი იწონებს, ზოგიც კრიტიკულად აფასებს და ამას რკინიგზული კლუბის დაღმასვლის დასაწყისად მიიჩნევს.

ასეა თუ ისე, სიომინი უკვე რუსეთის ნაკრების მწვრთნელია და გუშინწინ ოფიციალურად გამოეთხოვა „ლოკომოტივს", სადაც მისი ადგილი ვლადიმირ ეშტრეკოვმა, აქამდე იური „პალიჩის" თანაშემწემ დაიკავა.

სიომინი საწვრთნელ ბაზაზე კლუბის პრეზიდენტ ვალერი ფილატოვთან ერთად ესტუმრა გუნდს, ბიჭები მოიკითხა, დაამშვიდა და წარმატებების უსურვა...

„ნუ ნერვიულობთ — ასე დაიწყო სიომინმა — ეშტრეკოვი კვალიფიციური მწვრთნელია. კარგად თუ ითამაშებთ, ნაკრებში მიგიწვევთ, ასათიანი! სამწუხაროდ, შენ უკვე ითამაშე საქართველოს ნაკრებში... ლიმა! მოდი, შენ მიგიწვევ. ბრაზილიის ნაკრებში არ გითამაშია და ჩვენ კი გამოგვადგები".

სიომინის ხუმრობას ფეხბურთელები მაინც ვერ აჰყვნენ. მართალია, ლიმამ აწ ყოფილი მწვრთნელის ნალაპარაკევიდან ვერაფერი გაიგო, მაგრამ მაინც უარყოფის ნიშნად გააქნია თავი: „ბასტა!"

მალხაზ ასათიანს და მიხეილ აშვეთიასაც ყველა ატყობდა, მწვრთნელის შეცვლა დიდად არ ესიამოვნათ.

ვითარება ფილატოვმა შეძლებისდაგვარად განმუხტა: „გავა ერთი, ორი, სამი დღე და ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება. ცხოვრება გრძელდება..."

**ქახა ზალამბერიძე**

### ბელგია

მეორე კლასი
გადადებული მატჩი
ვიზეტი 3:1 გეელი
თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩები
ბრიუგე 1:0 ლიერსი
ლოკერენი 1:1 ბეერსხოტი

### საფრანგეთი

თასის მეოთხედფინალი
*ნიმი* 4:3დ.დ.(3:3) სოშო
ბულონი 1:2დ.დ.(1:1) *ოსერი*

### რუსეთი

თასის მეოთხედფინალი
პირველი მატჩი
ცსკა 2:1 სატურნი
თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩები
კრილია 1:1 *ამკარი* (0:1)
შინიკი 1:4 *ზენიტი* (0:4)
ტორპედო 0:3 *ხიმკი* (1:1)

### სლოვაკეთი

თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი
ლიხატვორცე 1:2 *პეტრჟალკა* (1:2)

### ხორვატია

თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩები
ჰაიდუკი 2:1 ოსიეკი
რიეკა 3:2 ვარტეძსი

### პორტუგალია

თასის ნახევარფინალი
ამადორა 0:3 *ბენფიკა*

### იტალია

სერია A. XXXII ტური
მილანი 1:0 კიევო
იუვენტუსი 0:1 ინტერი
უდინეზე 1:1 ლივორნო
პარმა 1:1 სამპდორია
რომა 0:2 სიენა
კალიარი 1:1 ლაციო
ფიორენტინა 1:1 მესინა
ლეჩე 1:1 ბოლონია
პალერმო 3:3 ბრეშა
რეჯინა 0:0 ატალანტა
სერია B. XXXIV ტური
ალბინოლეფე 1:0 არეცო
ბარი 2:0 ტრიესტინა
ჩეზენა 1:1 სალერნიტანა
კროტონე 1:0 ასკოლი
ჯენოა 0:0 კატანია
მოდენა 1:1 ემპოლი
პესკარა 3:2 კატანძარო
პიაჩენცა 0:2 ტერნანა
ვენეცია 0:3 ტორინო
ვერონა 2:1 ტრევიზო
ვიჩენცა 2:2 პერუჯა
სერია C1/A. XXXIV ტური
პრატო 3:1 ს. ტორესი
აკირეალე 1:1 პიზა
კომო 0:1 გროსეტო
ფ. ანდრია 1:2 სანჯოვანეზე
ფროზინონე 1:1 მანტოვა
სპეცია 0:0 ნოვარა
ლუკეზე 2:0 ლუმეცანე
პავია 2:0 ვიტორია

### საბერძნეთი

თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩი
აეკ 0:1 ოლიმპიაკოსი

### გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩები
ჰერტა (მ) 1:1 დორტმუნდი (მ)
კიოლნი (მ) 1:2 მიუნსტერი
სამხრეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩები
ელვერსბერგი 1:3 ოფენბახი
აფულენდორფი 1:0 მაინცი (მ)
ზიგენი 2:0 ვეჰენი
თასის ნახევარფინალი
არმინია 0:2 *ბაიერნი*

### ინგლისი

პრემიერლიგა
XXXIV ტური
ასტონ ვილა 0:0 ჩარლტონი
მანჩესტერ სიტი 3:0 ბირმინგემი
ნორვიჩი 2:1 ნიუკასლი
პორტსმუთი 1:2 ლივერპული
ტოტენჰემი 1:1 ვესტ ბრომვიჩი
ბლექბერნი 1:0 კრ. პალასი
ჩელსი 0:0 არსენალი
ევერტონი 1:0 მანჩესტერი

### ავსტრია

თასის მეოთხედფინალი
შტურმი 0:0დ.დ.(პენ.3:5) *აუსტრია*

### ჩეხეთი

თასის
მეოთხედფინალი
*პლზენი* 1:1დ.დ.(პენ.4:3) მოსტი
*სლოვაცკო* 0:0დ.დ.(პენ.9:8) ტეპლიცე

### ესპანეთი

თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩი
ოსასუნა 1:0 ატლეტიკო

### შვეიცარია

სუპერლიგა
გადადებული მატჩები
აარაუ 0:5 ბაზელი
შაფჰაუზენი 2:2 გრასჰოპერი
ძსამაძსი — თუნი *დღეს*
ჩელენჯლიგა XXVI ტური
ბადენი 1:0 ვადუცი
ბოლმი 1:0 ვინტერთური
ბელინცონა 1:0 იუვენტუსი
ბულე 0:2 ივერდონი
კონკორდია 0:1 კიასო
კრინსი 1:1 შო დე ფონი
სიონი 0:1 ლუცერნი
ვილი 2:2 ლუგანო
ვოლენი 2:3 მეირინი
თასის ნახევარფინალი
*ციურიხი* 3:1 იანგ ბოისი

### უნგრეთი

ბორსოდი ლიგა
გადადებული მატჩი
ბეკეშჩაბა 2:3 ნირედიჰაზა
თასის
ნახევარფინალი
ელორე 1:3 *ფერენცვაროში*
*შოპრონი* 4:2დ.დ.(1:1) ჰონვედი

### დანია

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი
აკადემისკი 1:2 ნიკიობინგი
თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩები
*მიდტიულანდი* 1:0 ჰორსენსი (4:0)
კოპენჰაგენი 2:2 *ბრონდბიუ* (0:1)

### თურქეთი

თასის ნახევარფინალი
გალათასარაი 1:1დ.დ.(პენ.4:2) ტრაბზონი

### სლოვენია

სი მობილ ლიგა
გადადებული მატჩი
პრიმორიე 0:0 ოლიმპია
თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩები
მარიბორი 2:1 პუბლიკუმი
ნოვა გორიცა 2:0 ნაფტა

### ჰოლანდია

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი
უტრეხტი 3:2 ალკმაარი
თასის ნახევარფინალი
ფეიენოორდი 1:1დ.დ.(პენ.2:4) *პსვ ეინდჰოვენი*

### სერბეთი

პრვა ლიგა
XXIII ტური
ჩუკარიჩკი 1:1 ოფკ
ჰაიდუკი (ბ) 0:1 ვოივოდინა
ჰაიდუკი (კ) 0:0 ობილიჩი
რადნიჩკი 1:0 ბორაცი
სარტიდი 2:1 ბუდუჩნოსტი
სუტიესკა 1:2 ცრვენა ზვეზდა
ზეტა 2:1 ზემუნი
პარტიზანი 4:1 ჟელეზნიკი

### პოლონეთი

პირველი ლიგა
გადადებული მატჩები
ამიკა 2:2 ოდრა
გურნიკი 1:0 პლოცკი
ლეხი 3:1 კატოვიცე
ლეჩნა 2:2 ვისლა

### ამხანაგური მატჩები

ესტონეთი 1:2 ნორვეგია
გვატემალა — იამაიკა *გადაიდო*
რუმინეთი — მოლდოვა *გადაიდო*

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს უმაღლესი ლიგა მეოთხე 16 ჩემპიონატი წრე 29 ტური



ექსტორპედოელმა ზურაბ იონანიძემ მშობლიური გუნდის გამწარება ერთხელ უკვე მოასწრო

ფოთი. 21 აპრილი. 16 საათი. ფაზისი

**კოლხეთი — თბილისი**

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); კ. გაბრიაძე (ქუთაისი), მ. ურუშაძე (თბილისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

ბათუმი. 21 აპრილი. 16 საათი. დინამო

**ბათუმი — ლოკომოტივი**

მსაჯები: მ. მალაღურაძე; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი), ა. სამხარაძე (სოხუმი); ზ. ანიაშვილი (გორი); ინსპექტორი: ს. კვარაცხელია

გორი. 21 აპრილი. 16 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

**დილა — სიონი**

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); ი. აფციაური (დუშეთი), მ. ელიკაშვილი; ლ. სილაგავა (ორივე თბილისი); ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

თბილისი. 21 აპრილი. 16 საათი. ეროვნული

**დინამო — ვიტ ჯორჯია**

მსაჯები: ა. მუშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

ზესტაფონი. 21 აპრილი. 16 საათი. ცენტრალური

**ზესტაფონი — ტორპედო**

მსაჯები: ა. კრიჟაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), გ. ცირდავა (გულრიფში); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); ინსპექტორი: ო. გუნთაძე

# ვინ რეანიმაციაში, ვინ ევრომოლოდინში

## ტურის ორი ეპიცენტრი: თბილისი და ზესტაფონი

**დარჩენილ** რვა ტურში ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ მთავარი ინტრიგა ნელ-ნელა იფერფლება — „დინამო“ უკვე ექვსქულიანი ჰანდიკაპით გაექცა მდევრებს და, მგონი, უკან მომხედი არ ჩანს. ამ სიტყვებზე ზესტაფონელები, ალბათ, სულ კბილებს აკაწკაწებენ, პირველ ეტაპს რა ვუთხარით, თორემ „დინამოს“ ველად გაშლილ ბუმბულს მერე ნახავდით. ისე კი, 29-ე ტური დაძაბულ თამაშებს გვპირდება, მათგან გამორჩეულები „ტკბილ ლუკმად“ დავიტოვოთ, ჯერ კი „ლაით-მატჩებით“ დავიწყოთ...

ბოლოსწინაადგილოსანი „სიონი“ ნაბოლარა „დილას“ ესტუმრება და, ალბათ, სამ ქულასაც ჩაიჯიბავს. კაცმა რომ მოინდომოს, გორელთა გასაჭირზე დისერტაციასაც დაწერს — რომელ მოგებაზეა ლაპარაკი, როცა თამაშის წინ ყველაზე მაძღარ ფეხბურთელს ჩაიზე კარაქიანი პური აქვს დაყოლებული. ისევ გულშემატკივრების შეძახილებით და „ბურთი მრგვალიას“ პრინციპით თუ გაუძლებს „დილა“, „სიონს“ კი უპრაგონოდ ქულების დაკარგვის უფლება არა აქვს.

„დილას“ დღეშია „კოლხეთიც“, რომელსაც ფოთის პორტისგან საარსებო წყარო შეუწყდა და ახლა რეანიმაციაშია. რა ტყუილა გაჭმევთ პურსა — ქვევრწაბილწული გოგიას ლოზუნგივით გასდევს ქვეყნის ერთ-ერთ კანონს, რომელიც სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ კლუბების დაფინანსებას კრძალავს. ფოთელებს დღესაც დააკლდებიან წამყვანი ფეხბურთელები, მათი მეტოქე „თბილისი“ კი მხოლოდ დისკვალიფიცირებულ რევაზ გეწაძეს მოისაკლისებს. მოკლედ, დიდი შანსია, „სიონმა“ და „კოლხეთმა“ მერვე-მეცხრე ადგილები გაცვალონ, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ზღვისპირელებმა პირველ ეტაპზე შინ 1:0 მოუგეს დედაქალაქელებს.



„დინამო“ — „ვიტ ჯორჯია“: ძველი ანგარიშები ახალ წრეში

და ერთიც: დღეს თუ სანდრო იაშვილი უკორექტულესად ითამაშებს და მსაჯებს ერთხელაც არ შეუბღვერს, ნუ გაგიკვირდებათ — ამის მომდევნო ტურში „თბილისი“ „დინამოს“ ხვდება, იაშვილს კი ერთი ყვითელი ბარათი აკლია დისკვალიფიკაციამდე. 19 წლის პერსპექტიულ ფორვარდს დინამოელების წინააღმდეგ ბურთაობა არ ელირსა, არადა, ერთი სული აქვს...

ისევ ზღვისპირეთში ვიტრიალოთ, ოღონდ ფოთიდან ბათუმში გადავინაცვლოთ, სადაც „ბათუმი“ წლეულს წაუგებელ „ლოკომოტივს“ უმასპინძლებს. ამირან გოგიტიძის ბიჭებმა წლეულს პირველი საშინაო მატჩი წინა ტურში „დილასთან“ მოიგეს, მაგრამ დღეს იგივეს გამეორება ძალიან გაუჭირდებათ, თანაც, გამოცდილი ლევან ხომერიკი დააკლდებათ. აჭარელები სახიფათო ზონას გვარიანად ასცდნენ, „ლოკოს“ კი ამ ხუმრობა-ხუმრობაში მეორე ადგილზე გასვლის შანსი გაუჩნდა და ვინძლო, ბოლომდე ჩაებღაუჭოს. ნოდარ აკობიას მხოლოდ მიხეილ ბობოხიძის უგოლო სერია უნდა აფიქრებდეს, სამაგიეროდ, გიორგი კახელიშვილი და მისი კბილა შემტევები ჰყავს კოზირებად.

დიდი ამბავი იქნება ზესტაფონში. ფეროელებმა მეზობელ „ტორპედოს“ ქუთაისში უკვე მოუგეს (ხომ გახსოვთ იონანიძის ბოლო წუთზე გატანილი და ქომაგებისგან ნასროლი ქვები) და დღესაც ფავორიტები არიან. თემურ მახარაძე დისკვალიფიკაციების გამო სერგეი ნუდნისა და ვალტერ გუჩუას ვერ დაიხმარს, ქუთათურებს კი მეკარე მირზა მირლანი აკლიათ. აქეთ იონანიძე-ზირაქიშვილი, იქით მეგრელაძე — ვნახოთ, ვისი აჯობებს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ „ზესტაფონი“ დღეს 12 მოთამაშით იქნება — იქ ხომ 10 000 გულშემატკივარი ასეთ თამაშებზე დაბარებულივით მოდის.

„დინამო“ — „ვიტ ჯორჯიას“ ულიმღამო შეხვედრა არასოდეს გვინახავს და დასტურ, დღესაც თვალსასეირო ჯახს ველით. კახა ცხადაძის ხელში დინამოელებს ქულა არ დაუკარგავთ, მაგრამ ვიტელებთან ძალიან ფრთხილად უნდა იყვნენ. მესამე წრეში ჯანი კარნეკალის ბიჭებმა გაამწარეს ლიდერი და საერთოდაც „დინამოსთვის“ უხერხული მეტოქეები არიან. იტალიელი მწვრთნელი მცველ დავით ოდიშვილს მოისაკლისებს, ცხადაძეს კი დავით ჭიჭველიშვილი და ლევან სილაგაძე არ ეყოლება. ლევან მელქაძე ქართულ კლუბებს ტერმინატორივით ატერორებს, დღეს კი ყოფილ გუნდს შეუტევს მაგრამ „ვიტ ჯორჯიასაც“ ჰყავს თავისი მეგოლე — ფეხმარდი ოთარ მარცვალაძის განერება უკვე საქმის ნახევარია.

**ილია ნანობაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 28 | 18 | 4 | 6 | 57:24 | 58 |
| ტორპედო | 28 | 14 | 10 | 4 | 43:23 | 52 |
| თბილისი | 28 | 15 | 6 | 7 | 48:32 | 51 |
| ლოკომოტივი | 28 | 12 | 12 | 4 | 34:19 | 48 |
| ზესტაფონი | 28 | 13 | 4 | 11 | 30:39 | 43 |
| ვიტ ჯორჯია | 28 | 11 | 8 | 9 | 45:32 | 41 |
| ბათუმი | 28 | 8 | 10 | 10 | 31:24 | 34 |
| კოლხეთი | 28 | 7 | 5 | 16 | 25:44 | 26 |
| სიონი | 28 | 7 | 4 | 17 | 24:50 | 25 |
| დილა | 28 | 2 | 3 | 23 | 16:68 | 9 |

საქართველოს მსაჯთა და ინსპექტორთა ასოციაცია 60 წლის იუბილეს ულოცავს დამსახურებულ მწვრთნელს, აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო კომიტეტის თავჯდომარეს ადია დურსუნიას

# აზერბაიჯანის ჩემპიონობა ათი მილიონი ევრო ღირს

## იქ, სადაც ჩვენზე საშინელი მინდვრებია

*გუშინდელ „სარბიელშიც“ გაუწყეთ, რომ აზერბაიჯანის თასის ნახევარფინალში ალეკო გოგობერიშვილის და მერაბ ძოძუაშვილის „ბაკიმ“ სტუმრად 1:0 მოუგო „არაზს“ და მატჩს უექსცესებოდ არ ჩაუვლია. ამ და სხვა აზერბაიჯანულ ამბებზე სასაუბროდ გოგობერიშვილს შევეხმიანეთ...*



— მაინც რა მოხდა „არაზი“ — „ბაკის“ შეხვედრაში?

— მასპინძელი გუნდის გულშემატკივრებმა მოედანზე ბოთლები ისროლეს, ერთმა ჩვენმა თანაგუნდელმა მინდორზე გადმოგდებული წყლით სავსე ბოთლი ტრიბუნებისკენ მოისროლა და გულშემატკივარს თავი გაუტეხა. რა თქმა უნდა, ეს არ იყო დამიზნებით ნასროლი — ჩემს თანაგუნდელს სამთამაშიანი დისკვალიფიკაცია აკმარეს, მან საქვეყნოდ ბოდიშიც მოიხადა. საპასუხო შეხვედრა კი „არაზთან“ 29 აპრილსაა.

**— „ბაკიში“ რამდენი ლეგიონერი ხართ?**

— ჩვენს გარდა „ბაკიში“ ორი ბრაზილიელია და თითო-თითო არგენტინელი, რუმინელი, სენეგალელი და სერბი — სულ „ბაკიში“ რვა ლეგიონერი ვართ.

**— ჩვეულ პოზიციაზე, ნახევარდაცვის ცენტრში თამაშობ?**

— არა, მეტწილად ფლანგებზე, ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ, მწვრთნელი ხშირად მიცვლის პოზიციას. თან აქ თითქმის ყველა გუნდი 3-5-2 სქემით თამაშობს და მეც მთელი ფლანგის კონტროლი მიწევს. ალბათ ამის ბრალიცაა, აზერბაიჯანში ჯერ გოლი რომ არ გამიტანია.

**— საქართველოს და აზერბაიჯანის ჩემპიონატებს შორის მთავარი განსხვავება რა არის?**

— დონის მიხედვით დიდი სხვაობა ჯერ არ არის, მაგრამ აზერბაიჯანში ბევრად მეტი მაყურებელი დადის მატჩებზე. ბაქოში გულშემატკივართა დასწრება დიდი არაა, მაგრამ რაიონებში მატჩებზე მინიმუმ 10 000 კაცი დადის. კიდევ ის, რომ ერთი გუნდის გარდა, აქ ყველას ნორმალური პირობები აქვს და იოლად ვერავის მოუგებ, ყველა გუნდი თავს შეგაკლავს.

**— მოედნების მხრივ როგორაა მანდ საქმე?**

— აქ საქართველოზე ცუდი მოედნებია, მაგრამ აზერბაიჯანულ ფეხბურთში [illegible]ციების ჩადება ამ სეზონში დაიწყო და მინდვრების პრობლემის მოგვარებას მალევე აპირებენ.

**— ყველაზე შეძლებული გუნდი აზერბაიჯანში რომელია?**

— „ლენქორანი“, რომლის პრეზიდენტმა საამსეზონოდ უკვე ათი მილიონი ევრო დახარჯა. „ლენქორანმა“ თურქული „ბეშიქთაშიდან“ ერთ მილიონ ევროდ იყიდა ოქთაი. „ლენქორანი“ ჩემპიონობისთვის იბრძვის. ისე, აქ ლეგიონერთა რაოდენობა ლიმიტირებულია, სამატჩო განაცხადში მხოლოდ ხუთი ლეგიონერის შეყვანა შეიძლება, მაგრამ მომდევნო სეზონიდან ლიმიტის გაზრდას აპირებენ.

**— შენ რაღას აპირებ, მომდევნო სეზონშიც აზერბაიჯანში იქნები?**

— „ბაკიში“ სეზონის ბოლომდე უნდა ვიყო და მერე რა მოხდება, არ ვიცი. აზერბაიჯანზე უკეთეს ჩემპიონატში მსურს თამაში, მაგრამ ყველაფერი პირობებზეა დამოკიდებული.

**— საქართველოში თამაშს აღარ აპირებ?**

— თუ ნორმალურ პირობებს შემომთავაზებენ, რატომაც არა?!

**დავით თავართქილაძე**



2K და „დინამო“ მორჩა...

# იაკომ დინამო გაიხსენა
## აღარ გვინდა 2K

**თბილისის** „დინამო“ ძველ ტექნიკურ სპონსორს, გერმანულ „იაკოს“ უბრუნდება და ახალი სეზონიდან ამ ფირმის სამოსს მოირგებს.

„დინამოს“ ხელმძღვანელობისა და „იაკოს“ მენეჯერ ოლაფ შტორბერგერის მოლაპარაკება ურთიერთთანამშრომლობის თაობაზე გუშინ შედგა, წინადადებით ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა და შეთანხმებაც, ფაქტობრივად, მიღწეულია: „დინამო“ და „იაკო“ კონტრაქტს მალე გააფორმებენ.

დღესდღეობით თბილისელებს რუსულ-ამერიკული 2K მოსავს, თუმც ამ ფირმასთან კონტრაქტის ვადა ამ სეზონის დამთავრებისთანავე იწურება, გახანგრძლივებაზე კი ლაპარაკი არც ყოფილა.

„დინამო“ „იაკოს“ მაისურებით ივო შუშაკის დროს თამაშობდა, ფეხბურთელები კი გერმანული ხარისხით კმაყოფილები იყვნენ.

„იაკო“ ევროპაში საკმაოდ პოპულარული ფირმაა, მისი ნაწარმით მეტწილად გერმანულ-ჰოლანდიური კლუბები სარგებლობენ.

**ლუკა თალაქვაძე**

# ტკბილი იყო ასეული?
## საქართველოს რუანდა წამოასკუპდა

**ფიფა-კოკა კოლას** ახალ რეიტინგში საქართველოს ნაკრები ორი საფეხურით ჩამოქვეითდა. საბერძნეთთან და თურქეთთან წაგებამდე ალენ ჟირესის გუნდი ზუსტად მე-100 იყო, ახლა კი 102-ე ადგილზეა, ამ ორმა მარცხმა ქართველებს 4 ქულა ჩამოაკლო, რითაც ლიტვა და რუანდა (!) წამოისვეს თავზე.

ჩვენი თანაჯგუფელებიდან წინ მიიწევს უკრაინა, რომელიც დანიასთან მოგებამ 4 საფეხურით მაღლა ალაზევა, ბერძნები და თურქებიც მყარად ჩასხდნენ ოცეულში.

ბობოლათა რბოლაში კი ჩეხები მეორეზე გადასკუპდნენ და მეოთხე ადგილი საფრანგეთს გაუცვალეს. რეიტინგყოჩი კი, ცხადია, ისევ ბრაზილიაა და კარგა ხანს ვერავინ ჩამოაგდებს ტახტიდან...

**ილია ნანობაშვილი**

Coca-Cola FIFA WORLD RANKING

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | 1 | ბრაზილია | 834 |
| 2 | 4 | ჩეხეთი | 783 |
| 3 | 3 | არგენტინა | 780 |
| 4 | 2 | საფრანგეთი | 777 |
| 5 | 7 | ჰოლანდია | 763 |
| 6 | 8 | ინგლისი | 757 |
| 7 | 5 | ესპანეთი | 755 |
| 8 | 6 | მექსიკა | 754 |
| 9 | 9 | პორტუგალია | 741 |
| 10 | 10 | იტალია | 735 |
| 11 | 11 | აშშ | 735 |
| 12 | 14 | *საბერძნეთი* | 726 |
| 13 | 13 | შვედეთი | 723 |
| 14 | 16 | *თურქეთი* | 719 |
| 15 | 12 | ირლანდია | 710 |
| 16 | 15 | ურუგვაი | 709 |
| 17 | 19 | იაპონია | 703 |
| 18 | 17 | *დანია* | 702 |
| 19 | 20 | ირანი | 701 |
| 20 | 18 | გერმანია | 698 |
| 42 | 46 | *უკრაინა* | 614 |
| 89 | 88 | *ალბანეთი* | 505 |
| 102 | 100 | **საქართველო** | 470 |
| 149 | 149 | *ყაზახეთი* | 306 |

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში; III – ქვეყანა; IV – ქულა

# თქვენი ინტერვიუ
# კახა კალაძესთან
### «მილანი» მილანი. იტალია

*რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძეა. კითხვები 25 აპრილის ჩათვლით უნდა მოგვაწოდოთ და კახასთან ინტერვიუ არაუგვიანეს 1 მაისამდე გამოქვეყნდება.*

*ერთი სიტყვით, იაქტიურეთ, თქვენ კახა კალაძე გპასუხობთ...*

მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: **Starmail@Caucasus.net**





შარშან ლუიშ ფიგუ პორტუგალიის ნაკრებიდან შეურაცხყოფილი წავიდა

# ფიგუ ფიქრობს
## ათი წუთი ცოტაა

**ლუიშ ფიგუ,** რომელმაც სანაკრებო კარიერა ევრო 2004-ის შემდეგ დაასრულა, შესაძლოა, კვლავ დაბრუნდეს ეროვნულ გუნდში. ამის შესახებ თავად ფეხბურთელმა ისაუბრა და მადრიდის „რეალში" უთამაშებლობაზეც დაიწუწუნა:

„ნაკრები იმიტომ მივატოვე, რომ დავიღალე. დასვენება და მხოლოდ კლუბში თამაში მსურდა, მაგრამ ახლა ვითარება საპირისპიროდ შეიცვალა. „რეალის" ძირითად შემადგენლობაში სისტემატიურად ველარ ვხვდები და ამიტომ ნაკრებში დაბრუნებაზე ვფიქრობ".

გახსოვთ, ალბათ, ვანდერლეი ლუშემბურგომ პორტუგალიელი „ბარსელონასთან" მატჩშიც არ ათამაშა და „ლევანტესთანაც" სათადარიგოთა სკამზე დასვა.

„მე არ ვკითხულობდი რატომ მათამაშებდნენ, როცა მოედანზე ვიყავი და არც ახლა ვკითხულობ რამეს, როცა სათადარიგოებში ვარ. თუმც თავისთავად ცუდია, რომ მწვრთნელი არაფერს მეუბნება. ვფიქრობ, სულ ცოტა, ახსნა-განმარტებას ვიმსახურებ, თუმც ლუშემბურგოს ყველა გადაწყვეტილებას პატივს ვცემ. ჩემს უთამაშებლობას მხოლოდ საფეხბურთო მიზეზი აქვს და პირადულს გამოვრიცხავ. როგორც პროფესიონალი, მსურს, გუნდს დავეხმარო და ბოლომდე დავიხარჯო, მაგრამ მწვრთნელი მხოლოდ ათ წუთს მითმობს. ეს კი ჩემთვის ძალიან ცოტა დროა და თუ „რეალს" აღარ ვუნდივარ, წავალ, სხვა რა გზა დამრჩენია".

შეგახსენებთ, ლუიშ ფიგუს კონტრაქტი მადრიდის „რეალთან" 2006 წლის ივნისში ეწურება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ტურამი ზიდანის კვალზე
## ნაკრებში არც იუვენტუსელი დაბრუნდება

**საფრანგეთის** ნაკრებში დაბრუნებაზე უარი ცოტა ხნის წინ ზინედინ ზიდანმა თქვა.

ამ უკანასკნელის გარდა, ლილიან ტურამზეც საუბრობდნენ, შესაძლოა, გამოცდილმა მცველმა კვლავ მოირგოს „ლურჯების" მაისურა და გუნდს მუნდიალზე გასვლაში დაეხმაროსო, მაგრამ „იუვენტუსის" სტოპერმა ზიდანს მიბაძა და ნაკრებზე დიდი გულისტკივილით ისაუბრა, თუმც დაბრუნება კატეგორიულად გამორიცხა.

„ნაკრებს ევრო 2004-ის შემდეგ ჩამოვშორდი და, ვფიქრობ, ეს სწორი და დროული გადაწყვეტილება იყო. აზრის შეცვლას და დაბრუნებას ნამდვილად არ ვაპირებ, თუმც ყველაფერს ყურადღებით ვაკვირდები და განვიცდი" — ამბობს ტურამი.



ლილიან ტურამი საფრანგეთის ეროვნული გუნდის მაისურას აღარასოდეს მოირგებს

გამოცდილი მცველის აზრით, ფრანგთა თავკაცი რაიმონ დომენეკი არ ცდება, ვეტერანების ნაცვლად აქცენტს ახალგაზრდა ფეხბურთელებზე რომ აკეთებს, მაგრამ ტურამი მწვრთნელს ყველაფერში არ ეთანხმება.

„წესით, კონკრეტულად არ უნდა ვსაუბრობდე, მაგრამ, რადგან ნაკრებში აღარ ვარ, მგონი, ამის მორალური უფლებაც მაქვს. ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც იოან მიკუ, ოლივიე დაკური და მიკაელ სილვესტრი არიან, ნაკრებში სისტემატურად უნდა თამაშობდნენ და არ მესმის, რატომ არ ხდება ასე. ხოლო მოთამაშეებს, რომლებსაც სირბილი და ბევრი მუშაობა ეზარებათ, საერთოდ არ უნდა მივცეთ შანსი" — დასძინა ვეტერანმა.

ბოლოს კი ტურამმა ოპტიმისტურად დაამთავრა საუბარი და ნაკრებს წარმატება უსურვა.

„ყველამ ვიცოდით, რომ როული პერიოდი დადგებოდა და ახალი გუნდის აწყობა ასე მალე არ მოხერხდებოდა, მაგრამ საკმარისი დრო გვქონდა. მჯერა, რაიმონ დომენეკი ოპტიმალურ შემადგენლობას მალე იპოვის და თამაშს გამოვასწორებთ".

**გიორგი ქაქაბაძე**

# დღეს ბარტეზის დღეობაა
## აღარ უნდა ლაი-ლაი



ფაბიენ ბარტეზი

**საფრანგეთის** ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი დღეს ფაბიენ ბარტეზის საქმეს გაარჩევს.

შეგახსენებთ, რომ „მარსელის" მეკარემ თებერვალში მაროკოში, „ვიდად კასაბლანკასთან" გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში მსაჯს სახეში მიაფურთხა. ამავე მატჩში „მარსელის" მცველი ფრედერიკ დეუ გააძევეს, რასაც მოჰყვა კიდეც ფეხბურთელებს შორის ჩხუბი და თამაში ათი წუთით შეწყდა.

ფაბიენ ბარტეზის საქმე, ჯერ კიდევ, 7 აპრილს უნდა გარჩეულიყო, მაგრამ მეკარის თხოვნით, სადღეისოდ გადმოიტანეს. ცხადია, კომიტეტის სხდომაზე ფრედერიკ დეუც გამოცხადდება.

„ბარტეზი თუ დასაჯეს, ძალიან ცუდი იქნება კლუბისთვისაც და ნაკრებისთვისაც" — განაცხადა „მარსელის" მწვრთნელმა ფილიპ ტრუსიემ — ჩვენი მეკარე კასაბლანკაში მომხდარის შემდეგ ისედაც დათრგუნული იყო და შესაძლოა, დისკვალიფიკაციამ უარეს დღეში ჩააგდოს".

რაც შეეხება ფრედერიკ დეუს, მას სჯერა, რომ არ დასჯიან: „სხდომაზე ბარტეზის დასაცავად არ მივდივარ, მას ჰყავს ხალხი, რომლებიც ადვოკატობას გაუწევს. მე საკუთარი თავი მადარდებს და არა მგონია, რომ დამსაჯონ".

ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა კი თქვა, ბარტეზს დანდობის იმედი ნუ ექნებაო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ლუისი ამოქექეს
## კამენი კი ბანანით შეურაცხყვეს





ლუის არაგონესს რასისტობა გაუხსენეს, კარლოს კამენის კი მადრიდელმა ფანებმა კანის ფერი წამოაძახეს

**ესპანეთში** ლუის არაგონესის ხელახლა და უფრო მკაცრად დასჯას ითხოვენ. მთავრობის საგანგებო კომისიამ, რომელიც ძალადობასა და რასიზმს ებრძვის, სპორტის სადისციპლინო კომიტეტს ნაკრების მწვრთნელის საქმის გადახედვა მოსთხოვა.

საგანგებო კომისიის აზრით, სასაცილოა, რომ ლუის არაგონესი მხოლოდ 3 000 ევროთი დააჯარიმეს, ნაკრების თავკაცი გაცილებით დიდ სასჯელს იმსახურებსო.

შეგახსენებთ, რომ ლუის არაგონესმა ერთი ხნის წინ, ლონდონის „არსენალის" ფრანგ ფორვარდ ტიერი ანრის „შავი მაიმუნი" უწოდა და ამბავიც ამით დაიწყო. მოგვიანებით მხცოვანმა ესპანელმა მოიბოდიშა, ჯიბე კი მხოლოდ სამი ათასი ევროთი შეუთხელეს.

კომისიის წევრები იმ შემთხვევების გარჩევაშიც ჩაერევიან, რომლებიც პრიმერადივიზიონის მატჩებში მოხდა.

გასულ უქმეებზე მადრიდში, „ატლეტიკოსა" და „ესპანიოლის" შეხვედრისას ბარსელონელთა კამერუნელ მეკარე იდრის კარლოს კამენის მადრიდელმა ფანებმა ბანანი ესროლეს.

„ლევანტესა" და „რეალის" მატჩისას კი სტუმართა ქომაგებმა მასპინძელთა ორ ფეხბურთელს კანის შავი ფერი უხსენეს.

**ვაჟა ხუციშვილი**




## მიჩელ სალგადო:
# უქნარები და ზარმაცები სხვაგან მოიკითხეთ

ესპანურ პრიმერაში ექვსი ტურია დარჩენილი და რა გასაკვირია, მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელები ქვეყნის ჩემპიონობაზე დღენიადაგ რომ ოცნებობენ.
გამონაკლისი, ცხადია, არც მარჯვენა მცველი მიჩელ სალგადოა, ვისაც მადრიდული „ასის“ ჟურნალისტი გუშინ გაესაუბრა.
მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელოთ: ინტერვიუში, რომელიც სწორედ ზემოხსენებული გაზეთიდანაა თარგმნილი, კითხვებს მიჩელ სალგადო, „რეალის“ ყოფილი პრეზიდენტის, ლორენსო სანსის სიძე პასუხობს

**— მუხლის ტრავმა საბოლოოდ მოიშუშეთ?**

— გაცილებით ადრე მოვირჩინე, ვიდრე წარმომედგინა. თუმც, როცა ბურთს ძლიერად ვურტყამ, ტკივილს მაინც ვგრძნობ.

**— „ლევანტესთან“ მატჩისას აშკარად ჩანდა, რომ თამაში გიჭირდათ...**

— პრობლემები მართლაც მქონდა, თუმც მაინც ბოლომდე გავძელი. არ დაგიმალავთ, ვიფიქრე, შეცვლას მოვითხოვ-მეთქი, მაგრამ მერე გადავიფიქრე, მოედანზე უფრო საჭირო ვიყავი. თანაც ტკივილი არც ისე აუტანელი იყო.

**— ელგერასა და კასილიასის წინასამატჩო ვარაუდებზე ლეგენდები დადის. საინტერესოა, რას ფიქრობს მიჩელ სალგადო?**

— მე იმათ რიცხვს არ მივეკუთვნები, ვინაც წინასწარი ვარაუდებით ერთობა. გაცილებით უკეთესია, მომავალი თამაშების მოგებაზე ვიფიქროთ, ვიდრე რაიმე შორეულ გათვლებზე. ისე კი, ამ პრიმერაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ორ კვირაში ხომ უმნიშვნელოვანესი ქულების მოპოვება შევძელით. ვითარების მეტი გამოსწორება რაღა გინდათ — ოქროს მედლები რომ უკვე ყველას დაკარგული გვეგონა, ახლა იმედიანად ვართ.

**— თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული, მატჩებს „ბარსას“ თამაშებამდე ჩაატარებდით თუ რამდენიმე საათის შემდეგ?**

— მე უფრო ადრე თამაშს ვირჩევდი, რადგან როცა მეტოქის მიერ მიღწეული შედეგი იცი, დაძაბულობა ერთიორად იმატებს-ხოლმე.

**— ახალგაზრდა რეალელმა ბორხამ უყურადღებობაზე დაიჩივლა. თქვენი მეგობრის თქმით, „რეალის“ წარმატებებს სპორტული მედია მხოლოდ იკერ კასილიასსა და რონალდოს აწერს, დანარჩენები კი ჩრდილში ვართო...**

— ვცდილობ, პრესა-ტელევიზიის განცხადებებზე ნაკლებად ვინერვიულო. აი, მწვრთნელის, თანაგუნდელებისა და ინჩასების აზრს კი მართლაც ვითვალისწინებ. ამ ხალხის მიხედვით მგონი, ცუდად არ უნდა ვთამაშობდე.

**— ვანდერლეი ლუშემბურგომ „რეალი“ შეცვალა?**

— ვფიქრობ, რომ კი. ლუშემბურგომ ჩვენთან საერთო ენა გამონახა, თუმცა ცუდი მწვრთნელები არც ადრე გვყოლია. რამდენიმე თვის წინანდელი ამბავი გაიხსენეთ — როცა ჩვენთან ხოსე ანტონიო კამაჩო მოვიდა, მთელ მადრიდს სჯეროდა, რომ უდიდეს წარმატებებს მივაღწევდით. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა, ხოლო კამაჩოს წასვლის შემდეგ ჩვენზე ცუდი შეხედულება ჰქონდათ — უქნარები, ზარმაცები და უდისციპლინოები ხართო, გვეუბნებოდნენ.

**— სამუელ ეტოოს ამასწინანდელ ნათქვამს გაგახსენებთ: „რეალმა“ „ჩასაფრებულის“, „კუდში მადევარის“ პოლიტიკით მოიგო თამაშიო...**

— „ბარსელონაზე“ და ეტოოზე ლაპარაკს ახლა ნამდვილად არ ვაპირებ. ისე კი გეტყვით, რომ უკვე კარგა ხანია, რაც ვთამაშობ და ყველაზე წყალწაღებულ გუნდებზეც კი არ მითქვამს მაგისთანა სიტყვები. ნებისმიერ მეტოქეს, პატივი უნდა ვცეთ.

# ყმაწვილი დიოგო ბებერ ქალბატონს გაეპრანჭა

**არგენტინული** მედიის ცნობით, „რივერ პლეიტის“ ახალგაზრდა ფეხბურთელი კარლოს ალბერტო დიოგო ტურნირის „იუვენტუსში“ გადადის.

21 წლის ურუგვაელმა ბუენოს აირესულ კლუბთან კონტრაქტის გაგრძელება იუარა, რასაც, ცხადია, სატრანსფერო ჭორაობა მოჰყვა. არგენტინაშიც და ფეხბურთელის სამშობლოშიც ამბობენ, რომ დიოგოს მომდევნო გუნდი სწორედ „იუვენტუსი“ იქნება.

მარჯვენაფლანგელი კარლოს ალბერტო დიოგოს თამაში ტურინელებს კი მოსწონებიათ, მაგრამ „ბებერმა ქალბატონმა“ რომელიმე არაევროკავშირელი ფეხბურთელი უნდა გაყიდოს, რათა ურუგვაელისთვის ადგილი გათავისუფლდეს.

შესაძლოა, მომავალ ზაფხულს „იუვენტუსმა“ პაოლო მონტერო, მარსელო ზალაიეტა, რუბენ ოლივერა ან სტეფან აპია გაასხვისოს.

ტურინულ კლუბში დიოგოს გადასვლის შემთხვევაში კი მას სავარაუდოდ ერთი წლით „პალერმოს“ ან „ლივორნოს“ ათხოვებენ, რომლებთანაც „იუვენტუსს“ კარგი ურთიერთობა აქვს.

**გაგა ხუციშვილი**

# სიამოვნებით საპარძელი
## ბლატერს ფიფა გაუტკბა

**ფიფას** პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა აღნიშნა, რომ 2007 წელს კვლავ იყრის კენჭს არჩევნებში და გამარჯვების სჯერა.

შეგახსენებთ, რომ შვეიცარიელი ამ პოსტზე 1998 წელს ჟოაო აველანჟის ნაცვლად მოვიდა, რომელიც ფიფას ყველაზე წარმატებულ პრეზიდენტად ითვლება, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით ბლატერზე.

1998 წლიდან მოყოლებული დღემდე ზეპ ბლატერი არაერთ სკანდალში გაეხვია. მის პრეზიდენტობას ბევრი თავიდანვე ეწინააღმდეგებოდა, აქაოდა, აველანჟი თავის კაცს ტოვებსო. შემდეგ კი მას ფინანსური პოლიტიკა დაუწუნეს — ფული უაზროდ და ბუნდოვნად იხარჯებაო. ყველაზე გახმაურებული ამბავი კი ბოლოს 2002 წლის არჩევნების შემდეგ იყო, როდესაც ბლატერი რამდენიმე პირის მოსყიდვასა და ხმების ხელოვნურად მოპოვებაში დაადანაშაულეს.

თავად ფიფას პრეზიდენტს ეს ყველაფერი არ აღელვებს და, როგორც ირკვევა, კიდევ დიდი ხნით აპირებს პოსტზე დარჩენას და არჩეული გზით სიარულს.

„2007 წელს ჩემს კანდიდატურას ისევ წამოვაყენებ. თუ ჯანმრთელობა ხელს შემიწყობს და კვლავ ამირჩევენ, სიამოვნებით გავაგრძელებ მუშაობას“ — დასძინა ბოლოს 69 წლის ბლატერმა.

**გიორგი ქაქაბაძე**


იოზეფ ბლატერი ფიფას პრეზიდენტობაზე თავის კანდიდატურას ისევ წამოაყენებს

# მარჯვენა ხელი ამუშავეთ
## რონალდინიომ ლაპორტას როსელთან მეგობრობა ურჩია




ხუან ლაპორტას რონალდინიო გონიერებისკენ მოუწოდებს

**ბრაზილიელმა** რონალდინიომ, „ბარსელონას“ პრეზიდენტ ხუან ლაპორტასა და ვიცე-პრეზიდენტ სანდრო როსელის გასაგონად განაცხადა, კლუბის ინტერესებისთვის შერიგდითო.

„როცა მათ კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, „ბარსასაც“ არაფერი უჭირდა. აქ რომ მოვედი, ლაპორტა და როსელი კლუბის სასარგებლო საქმეებს ერთობლივად, საერთო ძალით აკეთებდნენ. ძალიან გამიხარდებოდა, რომ ახლაც ასე მოხდეს“ — განმარტა ოკეანისგაღმელმა ვარსკვლავმა კატალონიურ „სპორტის“ ჟურნალისტთან საუბარში.

მოგეხსენებათ, ხუან ლაპორტა რიგი მიზეზების გამო თავის „მარჯვენა ხელად“ მონათლულ როსელისთან ამჟამად უბრადაა.

„გუნდი ესპანეთის ჩემპიონობისთვის იბრძვის. სწორედ ახლაა საჭირო, შეფებმა უთანხმოება დაივიწყონ — განაგრძობს რონალდინიო, რომელმაც გარდა თავკაცთა უთანხმოებისა, „ბარსას“ ბოლოდროინდელ თამაშებზეც ისაუბრა — „რეალთან“ უამრავი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. საწყენია, რომ მადრიდელებთან დავმარცხდით და საქმეც ასე გავირთულეთ. იმედია, მომავალში საწყენი აღარაფერი მოხდება, რისი მაგალითიც „ხეტაფესთან“ მოგებული მატჩია“.

**ლადო ხომერიკი**



ბოლტონი — საუთჰემპტონი. სტელიოს იანაკოპულოსმა ანგარიში მჭრატელა დარტყმით გახსნა

# თითო გოლი, თითო ქულა

## ალარდაისს ამდენი შანსი არ უნახავს

### ინგლისი

**პრემიერლიგა. XXXIV ტური**

**ბოლტონი 1:1 საუთჰემპტონი**

1:0 იანაკოპულოსი (25), 1:1 ფილიპსი (69)

**ბოლტონი:** იასკელაინენი, ჰანტი, ნგოტი, ბენ ჰაიმი, კანდელა (რ. გარდნერი 87), იერო, ნოლანი (კ. დევისი 65), ოკოჩა, სპიდი, იანაკოპულოსი (ჯაიდი 90), დიუფი

მწვრთნელი: სემ ალარდაისი

**საუთჰემპტონი:** ნიემი, დელაპი, ლუნდეკვამი, იაკობსონი, ლე სო (ოკლი 46), ტელფერი, ქუოში, ა. სვენსონი (ნილსონი 80), ჰიგინბოთემი, კრუჩი, ფილიპსი

მწვრთნელი: ჰარი რედნაპი

გაფრთხილება: ბენ ჰაიმი, იანაკოპულოსი

მსაჯი: კლატენბურგი

25 125 მაყურებელი

**მიდლსბრო 1:1 ფულემი**

0:1 მაკბრაიდი (82), 1:1 ზენდენი (90პ)

**მიდლსბრო:** პ. ჯოუნსი, კუპერი (კენედი 86), საუთგეიტი, ეჰიოგუ, კედრუ, პარლოუ, ბოატენგი, ზენდენი, დაუნინგი, ჰასელბაინკი, ნემეტი

მწვრთნელი: სტივ მაკლარენი

**ფულემი:** ვან დერ სარი, როსენიორი, ნაითი, გომა, ვოლცი, პემბრიჯი, რაძინსკი, კლარკი, ბოა მორტე, კ. ჯონი (მალბრანკი 82), მაკბრაიდი

მწვრთნელი: კრის კოულმენი

გაფრთხილება: საუთგეიტი

მსაჯი: სტაილზი

30 650 მაყურებელი

**პრემიერლიგის** 34-ე ტური ორი მეტ-ნაკლებად საინტერესო მატჩით გაიხსნა.

დავიწყოთ „რიბოკ სტედიუმზე“ გამართული საკმაოდ მნიშვნელოვანი შეხვედრით. სემ ალარდაისის „ბოლტონი“ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების მცირე შანსს ინარჩუნებს და „საუთჰემპტონთან“ აუცილებლად გამარჯვება ესაჭიროებოდა, ხოლო „წმინდანები“ თავის მხრივ ელიტაში დარჩენისთვის იბრძვიან და ნებისმიერ ქულას მათთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

შეხვედრა მასპინძლების სრული უპირატესობით დაიწყო. თავის გამოჩენა ჯერ ბრუნო ნგოტის, შემდეგ ელ-ჰაჯი დიუფსა და კევინ ნოლანს შეეძლოთ, თუმც გოლი სტელიოს იანაკოპულოსმა გაიტანა, რომელმაც დიუფის ჩაწოდებული ბურთი ძლიერი თავური დარტყმით გადაგზავნა ანტი ნიემის კარში.

ბოლტონელებმა პირველი ტაიმის დარჩენილ დროში და მეორე ნახევრის დებიუტში კიდევ არაერთი ჩინებული მომენტი შექმნეს, მაგრამ ერთხელაც ვერ იხეირეს. ამისთვის კი ისინი სტუმართა გამოცდილმა ფორვარდმა კევინ ფილიპსმა დასაჯა, რომელმაც 69-ე წუთზე მეტოქის მცველებს მცირე უყურადღებობა არ აპატია და ჯუსი იასკელაინენსაც უპრობლემოდ გაუსწორდა.

ამ გოლმა სემ ალარდაისის შეგირდები დაახლოებით ხუთწუთიან შოკში ჩააგდო, რის მერეც მასპინძლები ძველებურად ათამაშდნენ და სულ მცირე, კიდევ ოთხი საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ...

შეიძლება ითქვას, რომ ფრე დიდად არც ერთ გუნდს არ აძლევდა ხელს. ბოლტონელებს ახლა მეოთხე ადგილზე გასვლის კიდევ უფრო მიზერული შანსები რჩებათ, ხოლო „საუთჰემპტონი“ „ნორვიჩის“ შემდეგ, პრემიერლიგიდან გავარდნის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატია.

სემ ალარდაისი: „ბოლტონს“ უკვე რამდენიმე წელია ვწვრთნი და ამდენი საგოლე მომენტი არც ერთ მატჩში არ შეგვიქმნია. რა თქმა უნდა, გულდაწყვეტილი ვარ, მაგრამ გუნდმა მაინც კარგად ითამაშა. უბრალოდ, საშინელი უიღბლობა გვდევდა თან. გარდა ამისა, მეოთხე ადგილზე ხელის ჩაქნევა ჯერ ნაადრევია“.

ძალიან დაძაბული გამოდგა „მიდლსბროსა“ და „ფულემის“ მატჩიც. მთავარი მოვლენები ბოლო ათ წუთში განვითარდა: 82-ე წუთზე რაძინსკ-მაკბრაიდის მოკლე კომბინაციას ამ უკანასკნელის ზუსტი დარტყმა მოჰყვა, ხოლო 89-ე წუთზე კი შეხვედრის არბიტრი რობ სტაილზი შეცდა და სტუმართა კარში არარსებული პენალტი დანიშნა, რომლის გოლად ქცევაც ბუდევინ ზენდენს არ გასჭირვებია.

იქამდე მატჩი თანაბარ ორთაბრძოლაში მიმდინარეობდა. „ბორო“ შედარებით ინერტული იყო და დაღლილობა ეტყობოდა. ამაზე აქცენტი შეხვედრის შემდეგ სტივ მაკლარენმაც გააკეთა, აქაოდა, მთელი სეზონი უეფას თასზეც ვიბრძოდით და ცოტა გადავიღალეთო.

„ფულემის“ თავკაცი კრის კოულმენი კი მსაჯის გადაწყვეტილებაზე წუწუნებდა: „ცხადია, განაწყენებული ვარ მეც და ფეხბურთელებიც. შინ სამი ქულით უნდა დავბრუნებულიყავით, მაგრამ მსაჯმა მოგება უსამართლოდ წაგვართვა“.

**გიორგი ძაძაბაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 32 | 25 | 6 | 1 | 62:12 | 81 |
| არსენალი | 32 | 21 | 7 | 4 | 73:33 | 70 |
| მანჩესტერი | 32 | 19 | 10 | 3 | 48:19 | 67 |
| ევერტონი | 32 | 16 | 6 | 10 | 39:33 | 54 |
| ბოლტონი | 34 | 15 | 8 | 11 | 44:38 | 53 |
| ლივერპული | 33 | 15 | 6 | 12 | 46:34 | 51 |
| ტოტენჰემი | 33 | 13 | 8 | 12 | 41:37 | 47 |
| მიდლსბრო | 33 | 12 | 10 | 11 | 46:44 | 46 |
| ასტონ ვილა | 33 | 12 | 9 | 12 | 41:42 | 45 |
| ჩარლტონი | 33 | 12 | 8 | 13 | 40:50 | 44 |
| სიტი | 33 | 10 | 11 | 12 | 39:37 | 41 |
| ბირმინგემი | 33 | 9 | 11 | 13 | 35:39 | 38 |
| ნიუკასლი | 31 | 9 | 11 | 11 | 41:49 | 38 |
| ბლექბერნი | 32 | 8 | 12 | 12 | 28:37 | 36 |
| ფულემი | 33 | 9 | 8 | 16 | 39:53 | 35 |
| პორტსმუთი | 33 | 9 | 8 | 16 | 37:51 | 35 |
| საუთჰემპტონი | 34 | 5 | 13 | 16 | 37:55 | 28 |
| ვესტ ბრომვიჩი | 32 | 5 | 13 | 14 | 31:52 | 28 |
| კრ. პალასი | 33 | 6 | 9 | 18 | 36:57 | 27 |
| ნორვიჩი | 33 | 4 | 12 | 17 | 35:66 | 24 |

# ოცდაათი დაამატე!

## დეშანი დამშვიდდა

### საფრანგეთი

**თასის მეოთხედფინალი**

**სედანი 2:1დ.დ.(1:1) გრენობლი**

1:0 ნორო (24), 1:1 როხასი (75), 2:1 სიტონი (118)

**მონაკო 1:0დ.დ.(0:0) კლერმონი**

1:0 ს. კამარა (105)

**მეორედივიზიონელი** „კლერმონის“ დასამარცხებლად „მონაკოს“ დამატებითი დრო დასჭირდა. ქვედალიგელები მასპინძლებს პირველ ტაიმში ყოჩაღად დაუხვდნენ და მონაკოელებმაც მხოლოდ ერთხელ შეძლეს მეტოქის კარში დარტყმა — ხავიერ ერნესტო ჩევანტონმა მეთექვსმეტე წუთზე „გაისროლა“, მაგრამ სტუმარ იოან ბუშარს ბურთის მოგერიება არ გასჭირვებია.

მოჰამედ კალონი, ხავიერ სავიოლა და მისი სეხნია ჩევანტონი შესვენებამდე ამაოდ უტრიალებდნენ „კლერმონის“ კარს. სამაგიეროდ, მეორე ტაიმში აქეთ-იქით ახტუნავეს ბუშარი.

კლერმონელთაგან საუკეთესო მომენტი სტეფან სამსონს ჰქონდა, რომელიც ფლავიო რომასთან პირისპირ გავიდა, მეკარეს ბურთიც გადაავლო, მაგრამ ჩარჩოს აიცილა.

შეცვლაზე შესულმა სენეგალელმა ფორვარდმა სულეიმან კამარამ 105-ე წუთზე ლუკას ბერნარდის პასით გამარჯვებისა გაიტანა და „მონაკოც“ იმ თასის ნახევარფინალში გავიდა, რომელიც ბოლოს 14 წლის წინ მოიგო.

„ახლა უკვე დავმშვიდდი, რადგან ერთი ჯილდოს მოგების შანსი მაინც შევინარჩუნეთ — თქვა დიდიე დეშანმა — ხალხს ჰგონია, რომ მაღალი კლასის გუნდები შედარებით სუსტ მეტოქეებს იოლად უნდა უგებდნენ, მაგრამ ყოველთვის ასე არ ხდება“.

„კლერმონის“ მწვრთნელი დიდიე შავანონი: „საგოლე მომენტები გვქონდა და ვერ გამოვიყენეთ, რამაც გული ძალიან დამწყვიტა. დამატებით დროში კი ჯანი აღარ გვეყო“.

„სედანისა“ და „გრენობლის“ შეხვედრაშიც გამარჯვებული დამატებით დროში გამოვლინდა. მასპინძელმა სტეფან ნორომ ანგარიში პირველ ტაიმში გახსნა, როცა დაახლოებით 25 მეტრიდან ბურთი მეტოქის კარში შეჭედა.

თამაშის დასრულებამდე 15 წუთით ადრე კი გრენობლელმა სერხიო როხასმა „სედანის“ მცველთა შეცდომით ისარგებლა და კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი ბადეში შეაბრძანა. მსაჯის მიერ დამატებული დროის მიწურულს მაკაელ სიტონმა იხეირა და „სედანის“ ქომაგები გაახარა.

**ვაჟა ხუციშვილი**



„შალკეს“ მეკარე ფრანკ როსტმა პენალტებში იყოჩაღა

# როსტმა ვერდერს მოუგო

### გერმანია

**თასის ნახევარფინალი**

**შალკე 2:2დ.დ.(პენ.5:4, 1:1) ვერდერი**

1:0 სანდი (64), 1:1 ისმაელი (84), 1:2 ბოროვსკი (94), 2:2 აილტონი (96)

**შალკე:** ფ. როსტი, უდე კამპუისი, ვალდოხი, კრსტაიჩი, ქობიაშვილი, კ. პოულსენი, ვერმანტი, ლინკოლნი, ასამოა (ჰამიტ ალტინტოპი 106), სანდი (ჰანკე 91), აილტონი

მწვრთნელი: რალფ რანგნიკი

**ვერდერი:** რაინკე, უმითი, ისმაელი, პასანენი, სტალტერი, ფ. ერნსტი, დ. იენსენი (ჰუნტი 74), ბოროვსკი, მიკუ, კლასნიჩი, ნ. ვალდესი

მწვრთნელი: თომას შააფი

გაფრთხილება: კრსტაიჩი, ვალდოხი, ერნსტი, სტალტერი, ისმაელი

მსაჯი: ფროილიხი

61 524 მაყურებელი

**შეიძლება** ითქვას, რომ გერმანიის თასის ფინალში „შალკე“ ფრანკ როსტმა გაიყვანა — ბრემენის „ვერდერის“ ყოფილმა მეკარემ სამი პენალტი მოიგერია და ბოლო, გადამწყვეტი თავადვე გაიტანა.

როსტმა არ გაატანინა პოლ სტალტერის, ტიმ ბოროვსკის და ფაბიან ერნსტს, რომელიც სეზონის ბოლოს „ვერდერიდან“ „შალკეში“ გადადის.

ფრანკ როსტმა კოლეგა რაინკეს ისეთი პენალტი გაუტანა, რომ ამ საქმეში ჭიმპოჭრილ ფეხბურთელებსაც შეშურდებოდათ — „შალკეს“ მეკარემ ბურთი ხელ-ხელა შეაგორა „ვერდერის“ კარში.

„ეს იყო ფანტასტიკური თამაში“ — თქვა ჩამატჩევს რალფ რანგნიკმა.

„მეხუთე პენალტის დარტყმა მაიკ ჰანკეს სურდა, მაგრამ არ დავანებე. კაპიტანი ვარ და ამიტომ მე ვითავე“ — ხარობდა ფრანკ როსტი.

ანგარიში ეგე სანდმა 64-ე წუთზე, ლინკოლნის პასით გახსნა, მაგრამ შეხვედრის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე ვალერიან ისმაელმა საჯარიმოს ხაზიდან მოქნილი დარტყმით ბურთი მეტოქის კარის მარჯვენა კუთხეში ჩააჩვა.

დამატებულ დროში ტიმ ბოროვსკიმ „ვერდერი“ დააწინაურა, ხოლო აილტონმა, რომელმაც ერთი წლის წინ „მუსიკოსებთან“ ერთად ბუნდესლიგაც მოიგო და გერმანიის თასიც, ბოროვსკის გოლიდან ორ წუთში გაათანაბრა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ შეხვედრაში აილტონი მეკარესთან სამჯერ გავიდა პირისპირ, მაგრამ ვერ გაიტანა, ერთხელ კი ბურთი ძელს გაარტყა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# იყო თუ არა გოლი?

## პასუხისმგებლობა ეკისრება ტექნიკას

*ბოლოხანს მსაჯების საქმე სულ უფრო და უფრო რთულდება. უპირველეს ყოვლისა ეს იმ არბიტრებს ეხებათ, რომლებიც უმაღლესი დონის მატჩებს ემსახურებიან და შესაბამისად, მათი თითოეული ნაბიჯი აურაცხელი ტელეკამერის კონტროლს ქვეშაა. სწორედ ამიტომ წამოიწია წინა პლანზე მსაჯთა დასახმარებლად ვიდეოტექნიკის გამოყენების იდეამ, რომელსაც ახლა უკვე ძალიან სერიოზულად განიხილავენ*



გრემ პოლი ვიდეოაპარატურას ენდობა

**მოგეხსენებათ,** არსებობს ორგანიზაცია, რომელსაც საერთაშორისო ფეხბურთის ასოციაციის საბჭო ეწოდება და რომელიც ფეხბურთის წესებს აკონტროლებს. სწორედ ეს კონსერვატული ორგანიზაცია აუქმებს ძველ და ამკვიდრებს ახალ წესებს. მისი ხელდასმის, წინასწარი შემოწმებისა და საყოველთაო ანალიზის გარეშე ფეხბურთში არაფერი იცვლება და ამიტომაც გახლავთ საყურადღებო პროექტი კარის ხაზზე ტექნოლოგიური სიახლის დანერგვასთან დაკავშირებით. საუბარია ბურთის კარში შევარდნა-არშევარდნის დაფიქსირებაზე, რისი ექსპერიმენტიც წლეულს, 16 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე პერუში, 17 წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩატარდება.

ბუნებრივია, იდეა მსაჯებსაც გააცნეს და მათგან პასუხად მოწონება მიიღეს, თუმცა ვიდეოტექნიკის გაუაზრებელი გამოყენების საშიშროება მათაც თვალნათლივ ჰქონიათ აღქმული.

ბელგიელმა არბიტრმა ფრანკ დე ბლეკერმა განაცხადა: „დიახ, ვიდეოტექნოლოგიის გამოყენება დასაშვებია, ოღონდ მხოლოდ ერთი მიზნით, იმის დასადგენად, გადასცდა თუ არა ბურთი კარის ხაზს. ეს ის სიტუაციაა, როდესაც არსებობს მხოლოდ ჰო და არა, შავი და თეთრი, რაზეც პასუხის გაცემა ტექნიკას შეუძლია."

ცნობილი ინგლისელი მსაჯი გრემ პოლი ამბობს: „ტექნიკურ საშუალებებს თუ დავნერგავთ, მას მხოლოდ და მხოლოდ ფაქტის დაფიქსირება უნდა დავავალოთ, ხოლო შეხედულების და ინტერპრეტაციის დაშვებაც კი უბრალოდ უნდა გამოვრიცხოთ. ერთი სიტყვით, კი და არას დონეზე აპარატურას შეიძლება რომ ვენდოთ. მაგალითად, გადავაწყვეტინოთ, გადაკვეთა თუ არა ბურთმა კარის ხაზი."

ნორვეგიელი ტერიე ჰაუგე კოლეგების აზრს იზიარებს, მაგრამ იქვე დასძენს, რომ თუ ფიფა კარის ხაზის ტექნოლოგიას დანერგავს, მან გარანტირებულად უშეცდომოდ უნდა იმუშაოს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი იგი დამხმარედან ხელის შემშლელად გადაიქცევა.

„კარგად მახსოვს, თუ რა ითქვა ჯერ კიდევ ექვსი წლის წინანდელ უეფას კურსებზე — იგონებს მსაჯთა შორის ყველაზე ცნობილი პიერლუიჯი კოლინა — როდესაც გვკითხეს, რა აზრისანი ვართ კარის ხაზის ტექნოლოგიაზე, ჩვენ ერთხმად ვუპასუხეთ, რომ თანახმა ვართ ნებისმიერ ექსპერიმენტზე, ოღონდ კი იგი პრობლემის შემსუბუქებისკენ იყოს მიმართული."

ტექნოლოგიების მიმართ ფრთხილია რუსი ვალენტინ ივანოვი, რომელიც თვლის, რომ აპარატურა თამაშების ხანგრძლივ შეწყვეტას გამოიწვევს.

საბოლოოდ კი მაინც ყველა ერთმანეთს ეთანხმება.

სახელგანთქმული დანიელი კიმ-მილტონ ნილსენი: „დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ აპარატურა შეიძლება დავნერგოთ მხოლოდ ისეთი ეპიზოდების შესაფასებლად, რომლებიც იყო-არიყოს დონის მარტივ პასუხებს ითხოვს, მაგრამ ნუ დავივიწყებთ ისეთ მომენტებს, რომელთა შესახებ მატჩის მსვლელობისას კი არა, მერე, მშვიდ გარემოში, ვიდეოლენტისა და ნაირნაირი რაკურსების ათ-ათჯერ დატრიალების შემდეგაც დავობენ. ასეთ დროს აპარატურა უძლურია. ეს საკითხები ადამიანებმა უნდა გადაწყვიტონ."

**ბაბუნა ძიდია**

### შვედეთი

ალსვენსკა. II ტური

**გეფლე 1:2 ჰელსინგბორგი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰამარბი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| კალმარი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ასირისკა | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| ჰელსინგბორგი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| სუნდსვალი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ჰალმსტადი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| იორგრიტე | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| მალმიო | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ჰეკენი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| იურგორდენი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| ელფსბორგი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| გიოტებორგი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| გეფლე | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ლანდსკრონა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |

### პოლონეთი

I ლიგა. გადადებული მატჩი

**კრაკოვია 1:0 ზაგლებე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 17 | 13 | 4 | 0 | 50:11 | 43 |
| გროცლინი | 18 | 11 | 1 | 6 | 35:20 | 34 |
| ლეგია | 18 | 9 | 5 | 4 | 24:14 | 32 |
| კრაკოვია | 18 | 8 | 4 | 6 | 23:15 | 28 |
| ამიკა | 16 | 8 | 4 | 4 | 21:17 | 28 |
| პლოცკი | 17 | 8 | 3 | 6 | 26:24 | 27 |
| ზაგლებე | 18 | 5 | 7 | 6 | 24:27 | 22 |
| პოგონი | 18 | 6 | 4 | 8 | 22:33 | 22 |
| პოლონია | 18 | 6 | 4 | 8 | 21:36 | 22 |
| გურნიკი | 16 | 5 | 5 | 6 | 21:18 | 20 |
| ლეჩნა | 17 | 6 | 2 | 9 | 23:26 | 20 |
| ოდრა | 17 | 5 | 2 | 10 | 16:25 | 17 |
| ლეხი | 17 | 4 | 3 | 10 | 19:31 | 15 |
| კატოვიცე | 17 | 2 | 2 | 13 | 18:46 | 8 |

Copa Toyota Libertadores '2005

### ლიბერტადორესის თასი 2005

IV ჯგუფი. IV ტური

**დეპორტივო ტაჩირა (ვენესუელა) 0:3 სერო პორტენო (პარაგვაი)**

**სანტო ანდრე (ბრაზილია) 2:1 პალმეირასი (ბრაზილია)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერო პორტენო (პარაგვაი) | 4 | 2 | 2 | 0 | 9:4 | 8 |
| პალმეირასი (ბრაზილია) | 4 | 1 | 2 | 1 | 6:4 | 5 |
| სანტო ანდრე (ბრაზილია) | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| დეპორტივო ტაჩირა (ვენესუელა) | 4 | 1 | 0 | 3 | 2:9 | 3 |

V ჯგუფი. V ტური

**ოლმედო (ეკვადორი) 3:1 ატლეტიკო ხუნიორი (კოლუმბია)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რივერ პლეიტი (არგენტინა) | 4 | 4 | 0 | 0 | 8:3 | 12 |
| ოლმედო (ეკვადორი) | 5 | 2 | 0 | 3 | 9:10 | 6 |
| ატლეტიკო ხუნიორი (კოლუმბია) | 5 | 2 | 0 | 3 | 5:7 | 6 |
| ნასიონალი (ურუგვაი) | 4 | 1 | 0 | 3 | 4:6 | 3 |

### ინგლისი

ჩემპიონატი

გადადებული მატჩები

**სტოკი 0:1 ვესტ ჰემი**

0:1 ზამორა (78)

**ბარნლი 2:0 ქუინზ პარკი**

1:0, 2:0 აკინბაი (43, 81)

**ლესტერი 1:1 კარდიფი**

1:0 კონოლი (33), 1:1 ერდლი (58)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანდერლენდი | 43 | 26 | 7 | 10 | 71:39 | 85 |
| უიგანი | 43 | 24 | 10 | 9 | 75:33 | 82 |
| იფსვიჩი | 43 | 23 | 11 | 9 | 78:53 | 80 |
| პრესტონი | 43 | 21 | 11 | 11 | 64:52 | 74 |
| დერბი | 42 | 20 | 10 | 12 | 64:52 | 70 |
| რედინგი | 43 | 19 | 13 | 11 | 49:37 | 70 |
| ვესტ ჰემი | 43 | 20 | 9 | 14 | 61:51 | 69 |
| შეფილდი | 43 | 18 | 12 | 13 | 55:51 | 66 |
| მილუოლი | 43 | 16 | 11 | 16 | 48:44 | 59 |
| ლიდსი | 43 | 14 | 16 | 13 | 48:49 | 58 |
| სტოკი | 43 | 16 | 10 | 17 | 34:36 | 58 |
| ქუინზ პარკი | 43 | 16 | 10 | 17 | 52:56 | 58 |
| ვულვზი | 43 | 12 | 21 | 10 | 64:56 | 57 |
| ბარნლი | 43 | 14 | 14 | 15 | 36:38 | 56 |
| პლიმუთი | 43 | 14 | 9 | 20 | 51:61 | 51 |
| ლესტერი | 42 | 10 | 20 | 12 | 45:44 | 50 |
| უოტფორდი | 43 | 11 | 15 | 17 | 50:57 | 48 |
| ქოვენთრი | 43 | 12 | 12 | 19 | 53:68 | 48 |
| ჯილინგემი | 43 | 12 | 12 | 19 | 42:61 | 48 |
| კარდიფი | 43 | 11 | 14 | 18 | 44:50 | 47 |
| ქრიუ | 43 | 11 | 14 | 18 | 63:78 | 47 |
| ბრაიტონი | 43 | 12 | 10 | 21 | 36:62 | 46 |
| ნოტინგემი | 43 | 8 | 16 | 19 | 38:62 | 40 |
| როტერჰემი | 43 | 5 | 13 | 25 | 35:66 | 28 |




**ინგლისურ** „ბოლტონს" ელ-ჰაჯი დიუფის კონტრაქტის ბოლომდე გამოსყიდვა სურს და მალე „ლივერპულთან" მოლაპარაკებასაც დაიწყებს. როგორც ამბობენ, სენეგალელის ფასი დაახლოებით 4-5 მილიონი გირვანქა იქნება. სავარაუდოდ, ტრანსფერის წინააღმდეგი არც ერთი მხარე არ იქნება.

**ესპანური „რეალის" მცველი ივან ელგერა საავადმყოფოდან გამოწერეს. იგი ტრავმას უახლოეს დღეებში ბოლომდე მოიშუშებს, თუმც ექიმების თქმით, მომავალ უქმეებზე „ვილიარეალთან" მისი თამაში ფაქტობრივად, გამორიცხულია.**

**ბრაზილიური** „სან პაულუს" მწვრთნელმა ემერსონ ლეაომ პოსტი ჩემპიონატის დაწყებამდე 5 დღით ადრე დატოვა. გამოცდილი სპეციალისტის გადაწყვეტილებამ კლუბის ხელმძღვანელობა და ბრაზილიური საფეხბურთო სამყარო ძალიან გააკვირვა. ემერსონ ლეაო იაპონიაში გადაბარგდა და იქაურ „ვისელ კობეს" ჩაუდგა სათავეში.

**იტალიური „რომას" რუმინელი მცველის კრისტიან კივუს აგენტმა ანდრეა პრეტიმ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მის კლიენტს გუნდში დარჩენა სურს. „კრისტიანს ტრავმების გამო რთული სეზონი ჰქონდა, მაგრამ ახლა იგი ფორმას იბრუნებს და მხოლოდ „რომაზე" ფიქრობს" — განმარტა პრეტიმ.**

**ესპანური** „რასინგის" ფორვარდმა ხავი გერერომ განაცხადა, რომ „ესპანიოლი" მართლაც დაინტერესებულია მისი შეძენით. 29 წლის თავდამსხმელს სანტანდერელებთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურება და თუ შეთანხმებას არ გაახანგრძლივებს, თავისუფალი აგენტი გახდება.

**ჰოლანდიური „პსვ ეინდჰოვენის" კაპიტან მარკ ვან ბომელისთვის ბრძოლაში იტალიური გრანდები — „მილანი" და „იუვენტუსიც" ჩაებნენ. შეგახსენებთ, რომ 27 წლის ნახევარმცველის ხელში ჩაგდების სურვილი აქამდე საჯაროდ „ბარსელონამ" და „ტოტენჰემმა" გამოთქვეს. თავად ვან ბომელი ჯერჯერობით არც ერთ წინადადებაზე არ დათანხმებულა.**

**ინგლისური** „მანჩესტერი" კვლავ ვერ ახერხებს რაიან გიგზთან ახალი კონტრაქტის თაობაზე შეთანხმებას. ფეხბურთელმა მოსაფიქრებლად და შეთავაზებული პირობების გასაანალიზებლად ისევ დრო ითხოვა: როგორც ამბობენ, ეს „საუთჰემპტონის" წინადადებითაც არის გამოწვეული: „წმინდანებს" უელსელის ხელში ჩაგდება განუზრახავთ.

**ესპანური „მალაგასა" და პრიმერადივიზიონის ერთ-ერთი გამორჩეული მცველი ვისენტე ვალკარსე მზადაა, გუნდთან კონტრაქტი გაახანგრძლივოს. „ახალი სამწლიანი შეთანხმება შემომთავაზეს, რომელსაც, ცხადია, დავთანხმდები. აქ ბედნიერი ვარ და დარჩენა მინდა" — თქვა 30 წლის ფეხბურთელმა.**

**ჰოლანდიელმა** ვეტერანმა თავდამსხმელმა დენის ბერხკამპმა გადაწყვეტილება შეცვალა და „აიაქსში" დაბრუნებას არ გამორიცხავს. 35 წლის ფეხბურთელი უკვე შეხვდა ამსტერდამელთა თავკაცს დანი ბლინდს და მასთან წინასწარი შეთანხმებაც გააფორმა. შეგახსენებთ, რომ ბერხკამპს „არსენალთან" მოქმედი კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურება.

**ინგლისური პრესის ცნობით, „ლივერპულის" კაპიტანმა სტივენ ჯერარდმა „ჩელსიში" გადასვლა გადაიფიქრა. ამის მთავარ არგუმენტად ბრიტანულ ჟურნალ-გაზეთებს ის მოჰყავთ, რომ 24 წლის ნახევარმცველმა ლონდონში 2 სახლის შეძენა გადადო და შესაძლოა, საერთოდაც აღარ იყიდოს. თუმც საბოლოო გადაწყვეტილებას ჯერარდი, სავარაუდოდ, მომავალ ზაფხულს მიიღებს.**

**ესპანური** „რეალის" ინგლისელი მცველი ჯონათან ვუდგეიტი მინდორს სამ თვეში დაუბრუნდება. „ასი პროცენტით ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ წესით ჯონათანმა ივლისში უნდა განაახლოს თამაში. მჯერა, იგი მომავალ სეზონში ძველებურად იბურთავებს" — აღნიშნა „სამეფო კლუბის" ექიმმა საკარი ორავამ.

**იტალიურმა „იუვენტუსმა" შესაძლოა, ადრიან მუტუსთან კონტრაქტი გაწყვიტოს, თუ ლონდონის სასამართლო „ჩელსის" სარჩელს დააკმაყოფილებს და მუტუს ან მის მყიდველ კლუბს 8 მილიონი გირვანქას გადახდას დააკისრებს.**

**ისრაელის** „ჰაპოელი" შესაძლოა, რომან აბრამოვიჩის და ადგილობრივი არანაკლებ ცნობილი ბიზნესმენის ლევ ლევაევის ხელში აღმოჩნდეს. თელ ავივური კლუბის ხელმძღვანელობამ დაადასტურა, რომ აბრამოვიჩი და ლევაევი გუნდის რამდენიმე ვარჯიშს უკვე დაესწრნენ.

**ინგლისური ფეხბურთის ლეგენდამ ალან ბოლმა 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედალი კრისტის აუქციონზე გაიტანა. 60 წლის ბოლი მედლის 120 ათას გირვანქად გაყიდვას და ამ ფულის ოჯახისთვის დატოვებას აპირებს. „მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ყველაფერს სხვაგვარად ვუყურებ. მინდა, ჩემმა შვილებმა და შვილიშვილებმა ეს ფული მაქსიმალურად მოიხმარონ" — განმარტა ბოლმა.**

**იტალიურმა** ჟურნალმა „ნოველა 2000"-მა საინტერესო გამოკითხვა ჩაატარა და სერია **A**-ს ყველაზე სიმპათიური მოთამაშე გამოავლინა. როგორც ირკვევა, გამოკითხულ მანდილოსანთა 70 პროცენტს ურთიერთობა „პარმას" მცველ სტეფანო ბეტარინისთან სურს. მეორე ადგილზე ინტერელი კრისტიან ვიერი გავიდა, მესამეზე კი იუვენტუსელი ფაბიო კანავარო.

# წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **23 აპრილი** | | | | | | |
| 17:30 | 103 | შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 1.45 | 4.0 | 6.5 | 1.06 | 1.18 | 2.47 |
| 17:30 | 104 | მაინცი-ჰანოვერი | 1.95 | 3.3 | 3.55 | 1.22 | 1.25 | 1.71 |
| 17:30 | 105 | ბაიერნი-ბოხუმი | 1.25 | 5.5 | 9.0 | 1.01 | 1.09 | 3.41 |
| 17:30 | 106 | ბაიერნი-ბოხუმი | 0:1 | 1.6 | 4.0 | 3.5 | | |
| 17:30 | 107 | არმინია-ფრაიბურგი | 1.55 | 3.6 | 5.7 | 1.08 | 1.21 | 2.2 |
| 17:30 | 108 | დორტმუნდი-კაიზერსლაუტერნი | 1.6 | 3.7 | 5.0 | 1.11 | 1.21 | 2.12 |
| 17:30 | 109 | ჰამბურგი-ჰანზა | 1.55 | 3.7 | 5.5 | 1.09 | 1.2 | 2.21 |
| 17:30 | 111 | ჰერტა-შალკე | 2.2 | 3.4 | 2.9 | 1.33 | 1.25 | 1.56 |
| | | **24 აპრილი** | | | | | | |
| 19:30 | 112 | ლევერკუზენი-ვერდერი | 2.35 | 3.4 | 2.7 | 1.38 | 1.25 | 1.5 |
| 19:30 | 113 | ნიურნბერგი-მიონხენგლადბახი | 2.25 | 3.2 | 3.0 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **22 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 115 | აინტრახტი-ტრირი | 1.4 | 4.0 | 6.5 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| 21:00 | 116 | კარლსრუე-აუე | 2.05 | 3.2 | 3.2 | 1.24 | 1.24 | 1.6 |
| 21:00 | 117 | ესენი-ალემანია | 2.4 | 3.2 | 2.6 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| | | **24 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 118 | ზაარბრიუკენი-ფიურტი | 2.6 | 3.2 | 2.4 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 17:00 | 119 | ბურგჰაუზენი-ერფურტი | 1.75 | 3.4 | 4.0 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 17:00 | 120 | კოტბუსი-დუისბურგი | 2.45 | 3.2 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 17:00 | 121 | დინამო-ალენი | 1.8 | 3.3 | 3.9 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 17:00 | 122 | ობერჰაუზენი-მიუნხენი 1860 | 3.6 | 3.2 | 1.9 | 1.69 | 1.24 | 1.19 |
| | | **25 აპრილი** | | | | | | |
| 22:15 | 123 | კიოლნი-უნტერჰახინგი | 1.35 | 4.3 | 7.0 | 1.02 | 1.13 | 2.66 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **23 აპრილი** | | | | | | |
| 20:30 | 144 | ბრეგენცი-ადმირა | 2.35 | 3.3 | 2.6 | 1.37 | 1.23 | 1.45 |
| 20:30 | 145 | გრაცერი-მატერსბურგი | 1.45 | 3.7 | 6.0 | 1.04 | 1.16 | 2.28 |
| 20:30 | 146 | ზალცბურგი-აუსტრია | 4.0 | 3.4 | 1.75 | 1.83 | 1.21 | 1.15 |
| 20:30 | 147 | ტიროლი-შტურმი | 1.9 | 3.4 | 3.4 | 1.21 | 1.21 | 1.7 |
| | | **24 აპრილი** | | | | | | |
| 17:30 | 148 | რაპიდი-პაშინგი | 1.95 | 3.3 | 3.3 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| | | **ავსტრია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **22 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 150 | აუსტრია(ლ)-ლინცერი | 1.55 | 3.6 | 5.0 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| 21:00 | 151 | გრატკორნი-კერნტენი | 2.95 | 3.2 | 2.15 | 1.53 | 1.24 | 1.28 |
| 21:00 | 152 | ლეობენი-კაფენბერგი | 2.7 | 3.3 | 2.3 | 1.48 | 1.24 | 1.35 |
| 21:00 | 153 | რიდი-ალტახი | 1.45 | 3.5 | 6.5 | 1.02 | 1.18 | 2.27 |
| 21:00 | 154 | უნტერზიბენბრიუნი-ვიორგლი | 2.15 | 3.1 | 3.1 | 1.26 | 1.26 | 1.54 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **23 აპრილი** | | | | | | |
| 23:45 | 266 | ოსასუნა-ატლეტიკო | 2.4 | 3.3 | 2.65 | 1.38 | 1.25 | 1.46 |
| 23:45 | 267 | რეალი-ვილიარეალი | 1.5 | 3.8 | 6.0 | 1.07 | 1.2 | 2.32 |
| | | **24 აპრილი** | | | | | | |
| 23:00 | 258 | ბილბაო-სევილია | 2.2 | 3.3 | 3.0 | 1.32 | 1.26 | 1.57 |
| 19:00 | 259 | ბეტისი-სოსიედადი | 1.65 | 3.5 | 5.0 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| 19:00 | 260 | ესპანიოლი-სარაგოსა | 1.9 | 3.4 | 3.6 | 1.21 | 1.24 | 1.74 |
| 19:00 | 261 | ხეტაფე-ლევანტე | 2.0 | 3.2 | 3.5 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 19:00 | 262 | დეპორტივო-რასინგი | 1.55 | 3.6 | 5.8 | 1.08 | 1.22 | 2.22 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 263 | მალაგა-ბარსელონა | 5.3 | 3.6 | 1.6 | 2.14 | 1.22 | 1.1 |
| 19:00 | 265 | ნუმანსია-მალიორკა | 2.25 | 3.3 | 2.9 | 1.33 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 268 | ვალენსია-ალბასეტე | 1.35 | 4.0 | 9.0 | 1.0 | 1.17 | 2.76 |
| 19:00 | 269 | ვალენსია-ალბასეტე | 0:1 | 1.8 | 3.8 | 2.85 | | |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **22 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 281 | პსჟ-ნიცა | 1.75 | 3.0 | 5.3 | 1.1 | 1.31 | 1.91 |
| | | **23 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 282 | სტ.ეტიენი-მეცი | 1.9 | 2.9 | 4.4 | 1.14 | 1.32 | 1.74 |
| 22:00 | 283 | სტრასბური-ლილი | 2.6 | 2.7 | 2.95 | 1.32 | 1.38 | 1.4 |
| 22:00 | 285 | აიაჩო-ბორდო | 2.0 | 2.8 | 4.3 | 1.16 | 1.36 | 1.69 |
| 22:00 | 287 | კაენი-ბასტია | 1.95 | 3.2 | 3.8 | 1.21 | 1.28 | 1.73 |
| 22:00 | 288 | ისტრი-რენი | 3.1 | 3.2 | 2.2 | 1.57 | 1.28 | 1.3 |
| 22:00 | 289 | ლანსი-სოშო | 1.95 | 3.1 | 3.9 | 1.19 | 1.29 | 1.72 |
| 19:15 | 290 | მონაკო-ტულუზი | 1.7 | 3.3 | 5.0 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| 22:00 | 291 | ნანტი-მარსელი | 2.6 | 2.8 | 2.75 | 1.34 | 1.33 | 1.38 |
| | | **24 აპრილი** | | | | | | |
| 23:00 | 286 | ოსერი-ლიონი | 2.85 | 2.9 | 2.55 | 1.43 | 1.34 | 1.35 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **22 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 293 | ამიენი-კლერმონი | 1.9 | 2.9 | 4.2 | 1.14 | 1.3 | 1.71 |
| 22:00 | 294 | ანჟე-ლე ავრი | 2.1 | 2.9 | 3.55 | 1.21 | 1.31 | 1.59 |
| 22:00 | 295 | დიჟონი-ბრესტი | 2.2 | 2.9 | 3.3 | 1.25 | 1.32 | 1.54 |
| 22:00 | 296 | გენგამი-რეიმსი | 1.9 | 3.0 | 3.8 | 1.16 | 1.26 | 1.67 |
| 22:00 | 297 | ლავალი-შატორუ | 1.95 | 3.0 | 3.8 | 1.18 | 1.28 | 1.67 |
| 22:00 | 298 | ლორიანი-გენიონი | 1.85 | 3.0 | 4.0 | 1.14 | 1.26 | 1.71 |
| 22:00 | 299 | ნიორი-კრეტეი | 1.95 | 2.9 | 4.2 | 1.16 | 1.33 | 1.71 |
| 22:00 | 300 | ტრუა-გრენობლი | 1.55 | 3.4 | 6.0 | 1.06 | 1.23 | 2.17 |
| 22:30 | 301 | ნანსი-ლე მანი | 2.1 | 2.8 | 3.6 | 1.2 | 1.32 | 1.57 |
| | | **25 აპრილი** | | | | | | |
| 22:15 | 302 | მონპელიე-სედანი | 2.0 | 2.9 | 3.9 | 1.18 | 1.32 | 1.66 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **22 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 303 | ანდერლეხტი-სტანდარდი | 1.8 | 3.3 | 3.9 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| | | **23 აპრილი** | | | | | | |
| 21:30 | 304 | ბრიუგე-ბეერსხოტი | 1.2 | 5.5 | 12.0 | 1.0 | 1.09 | 3.77 |
| 21:30 | 305 | ბრიუგე-ბეერსხოტი | 0:1 | 1.5 | 5.0 | 3.8 | | |
| 22:00 | 306 | გენტი-გენკი | 2.5 | 3.4 | 2.45 | 1.44 | 1.23 | 1.42 |
| 22:00 | 307 | ბევერენი-ლოკერენი | 2.2 | 3.4 | 2.85 | 1.33 | 1.24 | 1.55 |
| 22:00 | 308 | სტ.ტრუიდენი-ლუვიე | 1.8 | 3.5 | 3.9 | 1.18 | 1.23 | 1.84 |
| 22:00 | 309 | ოსტენდე-ბრიუსელი | 2.2 | 3.4 | 2.9 | 1.33 | 1.25 | 1.56 |
| 22:00 | 310 | მონსი-ვესტერლო | 1.75 | 3.5 | 4.0 | 1.16 | 1.21 | 1.86 |
| | | **24 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 311 | ლიერსი-სერკლი | 2.15 | 3.4 | 2.95 | 1.31 | 1.24 | 1.57 |
| 17:00 | 312 | შარლერუა-მუსკრონი | 1.65 | 3.5 | 4.7 | 1.12 | 1.22 | 2.0 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **22 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 334 | აპელდორნი-ზვოლე | 2.15 | 3.4 | 2.95 | 1.31 | 1.24 | 1.57 |
| 22:00 | 335 | ვეენდამი-ვენლო | 2.5 | 3.5 | 2.4 | 1.45 | 1.22 | 1.42 |
| 22:00 | 336 | დორდრეხტი-სპარტა | 3.4 | 3.5 | 1.9 | 1.72 | 1.21 | 1.23 |
| 22:00 | 337 | ექსელსიორი-ემენი | 1.55 | 4.0 | 4.9 | 1.11 | 1.17 | 2.2 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 338 | სიტარდი-მაასტრიხტი | 2.35 | 3.5 | 2.55 | 1.4 | 1.22 | 1.47 |
| 22:00 | 339 | იგლსი-ოსი | 1.9 | 3.3 | 3.6 | 1.2 | 1.24 | 1.72 |
| 22:00 | 340 | ჰელმონდი-ვოლენდამი | 2.05 | 3.0 | 3.5 | 1.21 | 1.29 | 1.61 |
| 22:00 | 341 | ჰერაკლესი-კამბური | 1.35 | 4.3 | 7.0 | 1.02 | 1.13 | 2.66 |
| 22:00 | 342 | ტელსტარი-ეინდჰოვენი | 1.35 | 4.2 | 8.0 | 1.02 | 1.15 | 2.75 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **22 აპრილი** | | | | | | |
| 23:45 | 347 | ბელენენსეში-გიმარაეში | 2.25 | 3.1 | 3.0 | 1.3 | 1.28 | 1.52 |
| | | **23 აპრილი** | | | | | | |
| 21:45 | 348 | ბოავიშტა-მორეირენსე | 1.4 | 4.0 | 7.0 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| 21:45 | 349 | ბოავიშტა-მორეირენსე | 2.0 | 3.9 | 2.6 | | | |
| 23:45 | 354 | სპორტინგი-აკადემიკა | 1.3 | 4.5 | 8.5 | 1.0 | 1.12 | 2.94 |
| | | **24 აპრილი** | | | | | | |
| 23:45 | 345 | ბეირა მარი-პორტუ | 4.3 | 3.5 | 1.7 | 1.92 | 1.21 | 1.14 |
| 19:00 | 350 | ლეირია-ნასიონალი | 2.0 | 3.0 | 3.7 | 1.2 | 1.29 | 1.65 |
| 19:00 | 351 | მარიტიმუ-სეტუბალი | 1.85 | 3.2 | 3.9 | 1.17 | 1.25 | 1.75 |
| 19:00 | 353 | რიუ ავე-ჟილ ვისენტე | 1.7 | 3.2 | 5.0 | 1.11 | 1.26 | 1.95 |
| 22:15 | 355 | ეშტორილი-ბენფიკა | 6.0 | 3.5 | 1.55 | 2.21 | 1.23 | 1.07 |
| | | **25 აპრილი** | | | | | | |
| 23:30 | 352 | პენაფიელი-ბრაგა | 2.9 | 3.2 | 2.25 | 1.52 | 1.26 | 1.32 |
| | | **სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **23 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 415 | დუბნიცა-ტრნავა | 1.7 | 3.3 | 4.3 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| 18:00 | 416 | ინტერი-ჟილინა | 2.75 | 3.0 | 2.35 | 1.43 | 1.26 | 1.31 |
| 18:00 | 417 | პუხოვი-სობოტა | 1.65 | 3.4 | 4.5 | 1.11 | 1.2 | 1.93 |
| 18:00 | 418 | რუჟომბეროკი-ბ.ბისტრიცა | 2.15 | 3.0 | 3.1 | 1.25 | 1.26 | 1.52 |
| | | **24 აპრილი** | | | | | | |
| 19:30 | 419 | ტრენჩინი-პეტრჟალკა | 2.5 | 3.1 | 2.55 | 1.38 | 1.26 | 1.39 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **24 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 450 | ჰამარი-ალესუნდი | 1.75 | 3.4 | 4.0 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 20:00 | 451 | ლინი-სტარტი | 2.05 | 3.3 | 3.1 | 1.26 | 1.23 | 1.59 |
| 20:00 | 452 | მოლდე-ვოლერენგა | 3.2 | 3.3 | 2.05 | 1.62 | 1.24 | 1.26 |
| 20:00 | 453 | ოდ გრენლანდი-ბოდოი გლიმტი | 2.0 | 3.5 | 3.0 | 1.27 | 1.2 | 1.61 |
| 20:00 | 454 | ვიკინგი-ლილესტრიომი | 2.0 | 3.3 | 3.2 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 22:15 | 455 | რუსენბორგი-ფრედრიკსტადი | 1.35 | 4.9 | 6.0 | 1.05 | 1.1 | 2.69 |
| | | **25 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 456 | ბრანი-ტრომსიო | 1.7 | 3.7 | 4.0 | 1.16 | 1.19 | 1.92 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **24 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 457 | ალტა-ჰიონეფოსი | 2.2 | 4.0 | 2.5 | 1.41 | 1.17 | 1.53 |
| 20:00 | 458 | ფოლო-სტაბეკი | 4.0 | 4.0 | 1.65 | 2.0 | 1.16 | 1.16 |
| 20:00 | 459 | ჰიოდი-სკეიდი | 2.05 | 4.0 | 2.7 | 1.35 | 1.16 | 1.61 |
| 20:00 | 460 | მანდალი-კონგსვინგერი | 2.0 | 3.9 | 2.75 | 1.32 | 1.15 | 1.61 |
| 20:00 | 461 | მოსი-ბრინი | 2.8 | 3.9 | 2.05 | 1.62 | 1.18 | 1.34 |
| 20:00 | 462 | სოგნდალი-სანდეფიორდი | 1.5 | 4.2 | 5.0 | 1.1 | 1.15 | 2.28 |
| 20:00 | 463 | სტრიომსგოდსეტი-პორს გრენლანდი | 1.6 | 4.1 | 4.2 | 1.15 | 1.15 | 2.07 |
| 20:00 | 464 | ტონსბერგი-ლოვ ჰამი | 1.5 | 4.2 | 4.8 | 1.1 | 1.14 | 2.24 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **21 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 487 | ლონგფორდი-შელბურნი | 3.0 | 3.2 | 2.1 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| | | **22 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 482 | ბოჰემიანი-ჰერპსი | 1.55 | 3.6 | 4.8 | 1.08 | 1.17 | 2.05 |
| 22:45 | 483 | ბრეი-უოტერფორდი | 2.5 | 2.9 | 2.8 | 1.34 | 1.32 | 1.42 |
| 22:45 | 484 | კორკი-დროგედა | 1.8 | 3.2 | 4.0 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 22:45 | 485 | დერი-შემროკი | 1.75 | 3.1 | 4.5 | 1.11 | 1.25 | 1.83 |
| 22:45 | 486 | სტ.პატრიკსი-დუბლინი | 1.85 | 3.1 | 3.9 | 1.15 | 1.25 | 1.72 |
| | | **მექსიკა** | | | | | | |
| | | **21 აპრილი** | | | | | | |
| 23:45 | 510 | ტოლუკა-სანტოსი | 1.8 | 3.3 | 3.6 | 1.16 | 1.2 | 1.72 |
| | | **ესპანეთი. თასი** | | | | | | |
| | | **21 აპრილი** | | | | | | |
| 23:00 | 556 | ბეტისი-ბილბაო | 1.85 | 3.1 | 4.1 | 1.15 | 1.27 | 1.76 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ჰოლანდია. თასი** | | | | | | |
| | | **21 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 563 | ტილბურგი-აიაქსი | 5.3 | 3.5 | 1.6 | 2.1 | 1.22 | 1.09 |
| | | **თურქეთი. თასი** | | | | | | |
| | | **21 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 567 | ფენერბაჩე-დენიზლი | 1.3 | 4.5 | 8.5 | 1.0 | 1.12 | 2.94 |
| | | **ჩეხეთი. თასი** | | | | | | |
| | | **21 აპრილი** | | | | | | |
| 18:30 | 574 | ლიბერეცი-იაბლონეცი | 1.8 | 3.2 | 3.8 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **21 აპრილი** | | | | | | |
| 23:45 | 582 | უნ.ჩილე-სან პაულუ | 2.35 | 3.2 | 2.6 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 23:45 | 782 | ნასიონალი-რივერ პლეიტი | 2.55 | 3.1 | 2.6 | 1.39 | 1.28 | 1.41 |
| | | **კალათბურთი. იტალია** | | | | | | |
| | | **21 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 670 | მილანი-სიენა | 1.65 | 12.0 | 2.0 | 1.45 | 1.0 | 1.71 |
| 22:30 | 671 | ბოლონია-ტერამო | 1.15 | 12.0 | 3.5 | 1.04 | 1.0 | 2.7 |
| 22:30 | 672 | კანტუ-ავრორა | 1.25 | 12.0 | 3.0 | 1.13 | 1.0 | 2.4 |
| 22:30 | 674 | რომა-ვარეზე | 1.2 | 12.0 | 3.5 | 1.09 | 1.0 | 2.7 |
| 22:30 | 675 | როზეტო-ბიელა | 1.35 | 12.0 | 2.65 | 1.21 | 1.0 | 2.17 |
| 22:30 | 676 | სკავოლინი-კალაბრია | 1.3 | 12.0 | 2.9 | 1.17 | 1.0 | 2.33 |
| 22:30 | 677 | ნაპოლი-უდინე | 1.25 | 12.0 | 3.0 | 1.13 | 1.0 | 2.4 |
| 22:30 | 678 | ბენეტონი-ბიპოპი | 1.15 | 12.0 | 3.5 | 1.04 | 1.0 | 2.7 |
| | | **კალათბურთი. ესპანეთი** | | | | | | |
| | | **21 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 693 | ალიკანტე-რეალი | 1.7 | 12.0 | 1.9 | 1.48 | 1.0 | 1.64 |
| 22:30 | 695 | ხირონა-მანრესა | 1.4 | 12.0 | 2.65 | 1.25 | 1.0 | 2.17 |
| 22:45 | 696 | ბრეოგანი-ხუვენტუდი | 1.7 | 12.0 | 1.9 | 1.48 | 1.0 | 1.64 |
| | | **ჩოგბურთი. კაცები. ბარსელონა. გრუნტი** | | | | | | |
| | | **21 აპრილი** | | | | | | |
| 12:30 | 767 | მოია-მირნი | 1.3 | 2.8 | | | | |
| 12:30 | 768 | დავიდენკო-იოჰანსონი ტ | 1.4 | 2.85 | | | | |
| | | **ჩოგბურთი. კაცები. ჰიუსტონი. გრუნტი** | | | | | | |
| | | **21 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 769 | აგასი-კალატრავა | 1.12 | 5.0 | | | | |
| 19:00 | 779 | ბლეიკი ჯ.-დიუპუა | 1.25 | 3.0 | | | | |
| 19:00 | 780 | გროსჟანი-ერნანდესი | 1.4 | 2.65 | | | | |
| 19:00 | 781 | ლაპენტი-კიმი | 1.55 | 2.2 | | | | |


CROCO
BOOKMAKERS
კროკო
ისარგებლეთ
კროკოს ახალი
მომსახურებით
CROCO
BOOKMAKERS
ტელკრედიტი
TELCREDITI
10
42 00 24

CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | აღმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |



# მაგარი ხარ, მანო!

## მარკოიშვილი ბოისას ასცდა

მანუჩარ მარკოიშვილი მაგარ იშტაზეა და უკვე მესამე თამაშია, „ოლიმპიას" სიტყვაძუნწი მწვრთნელის, საშო ფილიპოვსკის ქათინაურებს იმსახურებს. ისე, უნდა დავაზუსტოთ, რომ მანუჩარი ყოველთვის იშტაზეა, ეგაა, მას მოედანზე ხანგრძლივად ყოფნის საშუალება არ აქვს. მაშ, ახლა რა ხდება? ოლიმპიელთა ის უკანახაზელი, რომელიც მარკოიშვილის პოზიციაზე ხუთეულში თამაშობდა, დაშავდა და ქართველმა ის სრულფასოვნად შეცვალა. „მანოს" კონკურენტი უკვე მწყობრშია და დღეს სლოვენიის ჩემპიონატში „პივოვარნასთან" სათამაშოდაც ემზადება, მარკოიშვილს კი იმედი აქვს, რომ შანსი მაინც მიეცემა და მის გამოყენებას აპირებს...

**— ბოლო მატჩებია, საკმაო დროით ხარ მოედანზე. იმ დღეს ვლადიმერ ბოისაზე მეტიც კი ითამაშე. ბევრისთვის ეს მოულოდნელობაა და ეგება განგვიმარტო...**

— კარგ ფორმაში ვარ, მაგრამ ჩემი ხანგრძლივი თამაშის ძირითადი მიზეზი ჩემს ამპლუაელთა ტრავმიანობაა. სახელის დასახელება არ მინდა, თუ რომელი მოთამაშეები იყვნენ დაშავებულნი, რომელთა ნაცვლადაც მე ვთამაშობდი ძირითადში.

**— ახლა გამოჯანმრთელდნენ?**

— ახლა ორივე მწყობრშია და მომდევნო მატჩშიც, ალბათ, ითამაშებენ, მაგრამ მეც აუცილებლად გამიყვანენ მოედანზე. ვეცდები, კარგი თამაშის წყალობით თამაშში საკმაო ხნით დავრჩე სარბიელზე.

**— მაგის იმედს ალბათ ისიც გიძლიერებს, რომ წინა მატჩებში თავი გამოიჩინე...**

— ბოლო შეხვედრებში მართლაც კარგად ვითამაშე. თავიდან მოედანზე რომ შევედი, გამიმართლა და მწვრთნელმა სარბიელზე თამაშის ბოლომდე დამტოვა. ასე იყო მომდევნო მატჩშიც და ბოლოსაც საკმაოდ ბევრი ვითამაშე.

**— საკმაოდ შედეგიანი იყავი და ალბათ მწვრთნელის მოწონებაც დაიმსახურე.**

— მწვრთნელმა მხოლოდ ეს მითხრა, ყოჩაღ, კარგი ბიჭი ხარო. ბევრი ხომ არაფერია, მაგრამ საშა ფილიპოვსკისგან ეს სიტყვები დიდი ხოტბის შესხმას ნიშნავს, ისეთი სიტყვაძუნწი, უფრო კი თავდაჭერილი კაცაა. რაც შეეხება თანაგუნდელებს, მათ ქათინაურებს უკვე შევეჩვიე.

**— ბოისამ რა გითხრა?**

— ვოვა ხომ იცი, როგორი იუმორის ადამიანია. ხუმრობით ასე მეუბნება, ვიცი, რომ ძალიან მაგარი ხარ. არა, ჩემზე მაგარი არ ხარ, მაგრამ მაინც მაგარი ხარ, მე შენი მჯერაო.

**— როგორ ფიქრობ, სრულფასოვნად შეცვალე ის დაშავებული, ძირითადში რომ თამაშობს შენს პოზიციაზე?**

— ის საკმაოდ ბევრ ქულებს აგროვებს და ამ საქმეში მას ნაღდად ვერ გამოვეკიდები. რაც შეეხება დაცვას, ამ კომპონენტში მგონი უკეთაც ვითამაშე. ერთი სიტყვით, ჩემი თავით კმაყოფილი ვარ.

**— საცაა, სეზონი დასრულდება და შენი „ოლიმპიასთან" კონტრაქტიც ამოიწურება. რას აპირებ?**

— „ოლიმპიასთან" ხელშეკრულება მიმთავრდება, კონტრაქტი კი „ბენეტონთან" მაკავშირებს. აქ განათხოვრების წესით ვიყავი და მომავალ სეზონში სად ვითამაშებ, არ ვიცი.

**— შენს ახალ გუნდზე „ბენეტონი" იზრუნებს?**

— სხვათა შორის, „ბენეტონთან" 3+8-წლიანი კონტრაქტი მაკავშირებს და მესამე წელიწადი ახლა იწურება. თუ იტალიელებმა კონტრაქტი კიდევ ხუთი წლით გამიხანგრძლივეს, მაშინ ისინი გამიძნახავენ გუნდს.

**— შენთვის რა ჯობს?**

— არ აქვს დიდი მნიშვნელობა. თუ არ გამიხანგრძლივებენ, მაშინ თავისუფალი აგენტი გავხდები და რომელიმე კლუბი აუცილებლად გამოჩნდება. არადა, „ბენეტონი" იზრუნებს ჩემზე, ანაც შეიძლება, სულაც თავისთან მათამაშონ ტრევიზოელებმა. ჩემთვის მთავარი ახლა ისეთი გუნდის გამოძებნაა, სადაც 25 წუთს მაინც ვითამაშებ. „ოლიმპიაში" რამდენიმე ლიდერი რჩება და ამის გარანტიას ვერავინ მომცემს. ერთი სიტყვით, ყველაფერი სეზონის ბოლოს გადაწყდება.

**ირაკლი პერტაია**

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

# შანსი მომეც და კანადაში გადმამგდე

## ლებრონ ჯეიმსმა პლეი ოფს მოჰკრა თვალი

— 19 აპრილი —

**მილუოკი 109:127 ტორონტო**

**მილუოკი:** უილიამსი (15), სტრიკლენდი (14), მეისონი (25), კუკოჩი (11 ქულა, 10 მოხსნა), გაძურიჩი (13 ქულა, 12 მოხსნა); გოლდვაირი (13), გეინისი (6), **ფაჩულია** (5 წუთი, 6 ქულა, 3 მოხსნა, 1 ჩაჭრა), სანტიაგო (2), ფიზერი (4)

**ტორონტო:** ალსტონი (22), როუზი (29), პიტერსონი (24), ბოში (14), შოუ (6); ბონერი (10), პალასიო (9), არაუიო (8), კუკი (3 ქულა, 10 პასი), უილიამსი (2)

**კლივლენდი 100:86 ბოსტონი**

**კლივლენდი:** ჯეიმსი (32 ქულა, 8 მოხსნა, 6 პასი, 5 ჩაჭრა), ტრეილორი (22 ქულა, 10 მოხსნა)

**ბოსტონი:** უოლკერი (22), დევისი (15)

**ნიუ ჯერსი 109:101 ვაშინგტონი**

**ნიუ ჯერსი:** კიდი (35 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი, 5 ჩაჭრა), კარტერი (26)

**ვაშინგტონი:** პიუზი (18)

**ჩიკაგო 92:91 ნიუ იორკი**

**ჩიკაგო:** ჰაინრიხი (34), გორდონი (16)

**ნიუ იორკი:** კროუფორდი (24), მარბერი (15)

**დალასი 101:96 სიეტლი**

**დალასი:** ნოვიცკი (21)

**სიეტლი:** ალენი (21), ლუისი (21)

**ატლანტა 68:95 დეტროიტი**

**ატლანტა:** სმიტი (18)

**დეტროიტი:** პრინსი (20), მილიჩიჩი (16), ბ. ვოლესი (15 ქულა, 17 მოხსნა)

**დენვერი 119:115 პორტლენდი**

**დენვერი:** ენტონი (36 ქულა, 13 მოხსნა), ბოიკინსი (24 ქულა, 12 პასი), ნენე (21 ქულა, 13 მოხსნა)

**პორტლენდი:** მაილზი (47 ქულა, 12 მოხსნა), ტელფაირი (11 ქულა, 13 პასი, 7 ჩაჭრა)

**მაიამი 99:80 შარლოტი**

**მაიამი:** ბატლერი (25), ვეიდი (14)

**შარლოტი:** ელი (14), ბოგანსი (14), კაპონო (14)

**უნდა** გენახათ, რა ხდებოდა „კლივლენდის" „გრანდ არენაში" „ბოსტონთან" მატჩის შემდეგ. „კავალიერზის" მორგვივით ცენტრი, 130-კილოგრამიანი რობერტ ტრეილორი მეოქმეთა მაგიდაზე შეხტა და ლამის თავზე დაასკდა დაზაფრულ სტატისტიკოსებს. დანარჩენი გუნდი ფიცარნაგზე ხაროდა, 20 562 ბედნიერი კლივლენდელი კი ტრიბუნებიდან აძლევდა ბანს.

მაინც, რა მოხდა? რა და — „ბედისწერას ჩვენ წავართვით შანსი და მეტს არც არაფერს ვითხოვდით. ხვალ ჩავალთ ტორონტოში და ამ შანსს გამოვიყენებთ" — ბუხუნებდა ნამატჩევს „ტრაქტორად" წოდებული ტრეილორი. მისმა „კლივლენდმა" შინ დაამარცხა პლეი „ბოსტონი" და პლეი ოფში მოხვედრის შანსი დაიბრუნა. თუ ამ გუნდმა 20 აპრილს ტორონტოშიც იყოჩაღა და თან ბედიც წაეშველა, 1998 წლის შემდეგ პლეი ოფს დაუბრუნდება. გადასარევად ითამაშა ლებრონ ჯეიმსმა და როცა ჟურნალისტებმა ტორონტოში წინა გასვლითი შეხვედრა და მაშინ მოგროვილი 56 ქულა გახსენეს, ყმაწვილმა ვარსკვლავმა მიუგო, მთავარია, მოვიგოთ და თუ გინდა, მე საერთოდ ვერ ჩავაგდო ბურთიო.

საბოლოო ბედნიერებამდე კლივლენდელებს მაინც საკმაოდ უკლიათ. მათმა კონკურენტმა და სულთამხუთავმა „ნიუ ჯერსმაც" იმარჯვა, შინ იმსხვერპლა „ვაშინგტონი" და კვლავ ინარჩუნებს „კლივლენდზე" უკეთეს შანსს — „ნეთსისთვის" პლეი ოფში მოსახვედრად იმავ „ბოსტონის" სტუმრად ძლევაც კმარა. ასეთ შემთხვევაში „კავალიერზისთვის" ტორონტოში გამარჯვებას ფასი ეკარგება.

„ვაშინგტონთან" თამაშის გმირი ჯეისონ კიდი გახლავთ, ვისაც ეს სეზონი კი ჩაუვარდა, თუმც ბოლო მატჩებში ის კვლავ საუკეთესოა და ვინს კარტერის მხარდამხარ დაკარგულს ინაზღაურებს. დედაქალაქელებთან თამაში კიდისთვის წლეულს საუკეთესო გამოდგა — 35 ქულა ხომ ჩააგდო, ზედ სხვა სარგებელიც მოაყოლა და, რაც მთავარია, მთლიანად გამოთიშა თამაშიდან ბომბარდირთა სიაში მეექვსე ადგილზე მყოფი ჯილბერ არენასი. „ვაშინგტონის" ლიდერი ყოველ მატჩში საშუალოდ 26 ქულად ფასობს, ახლა კი კიდის მარწუხებში მოქცეულმა შეხვედრა 8 ქულით დაასრულა.

„ვაშინგტონისთვის" ამ თამაშს არც ისე პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა, რაკი პლეი ოფში ისედაც გასულია, იქ პირველ წრეში „ჩიკაგოს" ხვდება და მასთან მოედნის უპირატესობა ისედაც დაკარგული ჰქონდა. „ჩიკაგომ" კი ახალბედა ბენ გორდონის ბოლო წამებზე ჩაგდებული ბურთის წყალობით „ნიუ იორკი" დაამარცხა. „ბულზმა" ამ გუნდთან წლეულს ოთხივე თამაში მოიგო და 1997-98 წლების შემდეგ პირველად დაამთავრა რეგულარული ჩემპიონატი ისე, რომ ერთ რომელიმე გუნდთან ერთხელაც არ დამარცხებულა.

პლეი ოფს მშვენიერ ფორმაში და ხასიათზე ხვდება დირკ ნოვიცკის „დალასიც". ყველა ელოდა, რომ თავკაც დონ ნელსონის პენსიაზე გასვლის შემდეგ ეს გუნდი ტემპს დაკარგავდა, რაკი მის ადგილზე მოსულმა აივერი ჯონსონმა ეს უკანმოუხედავად შემტევი გუნდი დაცვაში „დაწია", მაგრამ პირიქით კი მოხდა. ტეხასელებს აშკარად მოუხდათ ჯონსონის თეორიები, არც ნანობენ, საკუთარ ნახევარზე მეტი ოფლის ღვრა რომ უწევთ. „სიეტლსაც" იოლად არა, თუმც დამაჯერებლად კი მოუგეს.

არც დეტროიტელებს აკლიათ ხალისი. ჩემპიონებმა ატლანტაში იქაური „ქორები" გაბდღვნეს და მარამდე მიჯრით მოგებულ 10 შეხვედრას ერთიც მიამატეს. ისე არიან თავში დარწმუნებულები, რომ მწვრთნელმა ლარი ბრაუნმა დამწყებ ხუთეულში უხეირო დარკო მილიჩიჩსაც არგო ადგილი.

მილიჩიჩი ცალკე თემაა, მაგრამ მისი ამბავი აქვე მოკლედ გავიხსენოთ — 2003 წლის დრაფტზე „კლივლენდმა" ლებრონ ჯეიმსს რომ დასტაცა ხელი, „დეტროიტმა" ეს 213-სანტიმეტრიანი და ვითომ ძალიან პერსპექტიული სერბი ირჩია ისე, რომ არც კარმელო ენტონი გაახსენდა და არც დუეინ ვეიდი, მაგრამ ამხელა გოლიათი დიდი ხეთო გამოდგა. გადამწყვეტად ერთი მეოთხედი არ უთამაშია, ახლა კი ბრაუნმა მთელი 30 წუთი უბოძა და ამანაც კარიერის საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა — „ატლანტას" 17 ქულა ჩაუგდო.

რეგულარული ჩემპიონატის დამთავრებამდე დღედა დარჩა — წუხელ 14 მატჩი უნდა გამართულიყო, 19 აპრილს კი ორი გუნდისთვის 82-მატჩიანი წრე შეკრა ერთისთვის ცუდად, მეორესთვის უკეთესად. „დენვერ ნაგიტსმა" რეგულარულის ბოლო შეხვედრაში „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსი" დასცა. ეს გამარჯვება 49-ე იყო ჯორჯ კარლის გუნდისთვის. „ნაგიტსს" ასე კარგად 17 წელიწადია, არ უთამაშია.

„დენვერის" საპირისპიროდ უხეიროდ დაამთავრა ზაზა ფაჩულიას „მილუოკიმ" — „ბაქსმა" შინ შეირცხვინა თავი „ტორონტო რეპტორზთან". თავად ზაზა ფაჩულიამ სეზონის ბოლო შეხვედრაში 6 ქულა გააკეთა და ულაპარაკოდ მეტს შესძლებდა, მესამე მეოთხედში ერთი წუთის ინტერვალით ორი ტექნიკური რომ არ მიეღო და იძულებით არ გადამჯდარიყო სათადარიგოთა სკამზე.

**კოტე ყორშია**



ლებრონ ჯეიმსი

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| მაიამი | 58 | 23 | 71,6 |
| დეტროიტი | 54 | 27 | 66,7 |
| ბოსტონი | 45 | 36 | 55,6 |
| ჩიკაგო | 47 | 34 | 58,0 |
| ვაშინგტონი | 45 | 36 | 55,6 |
| ინდიანა | 43 | 38 | 53,1 |
| ფილადელფია | 42 | 39 | 51,9 |
| ნიუ ჯერსი | 41 | 40 | 50,6 |
| კლივლენდი | 41 | 40 | 50,6 |
| ორლანდო | 36 | 45 | 44,4 |
| ტორონტო | 33 | 48 | 40,7 |
| ნიუ იორკი | 32 | 49 | 39,5 |
| მილუოკი | 30 | 52 | 36,6 |
| შარლოტი | 17 | 64 | 21,0 |
| ატლანტა | 13 | 68 | 16,0 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| ფინიქსი | 62 | 19 | 76,5 |
| სან ანტონიო | 59 | 22 | 72,8 |
| სიეტლი | 52 | 29 | 64,2 |
| დალასი | 57 | 24 | 70,4 |
| ჰიუსტონი | 50 | 31 | 61,7 |
| საკრამენტო | 49 | 32 | 60,5 |
| დენვერი | 49 | 33 | 59,8 |
| მემფისი | 45 | 36 | 55,6 |
| მინესოტა | 43 | 38 | 53,1 |
| კლიპერსი | 36 | 45 | 44,4 |
| ლეიკერსი | 34 | 47 | 42,0 |
| გოლდენ სტეიტი | 33 | 48 | 40,7 |
| იუტა | 26 | 55 | 32,1 |
| პორტლენდი | 26 | 55 | 32,1 |
| ნიუ ორლეანი | 18 | 63 | 22,2 |

*პირველი სამი ადგილი დივიზიონის ლიდერებს უჭირავთ*

# ტურინის გმირი

**ოლიმპიური** თამაშების ისტორიაში საქართველოს მოფარიკავეებმა ორ-ორი ოქროსა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, მაგრამ აქედან პირად პირველობაში მხოლოდ ერთი დაიმსახურეს. ის ერთადერთი ბრინჯაო გურამ კოსტავას ანგარიშზეა და იგი ამ მხრივ ყველაზე გამორჩეულ ქართველ მოფარიკავედ გვევლინება. ამასთან, კოსტავა მოფარიკავეთაგან ჩვენი ერთადერთი ორგზის ოლიმპიური პრიზიორია.

გურამ კოსტავა სხვა მხრივაც გამორჩეულია, მაგალითად, მსოფლიოს ჩემპიონატებში მოპოვებული მედლების რაოდენობით. კოსტავას კოლექციაში ორ-ორი ამგვარი ოქროსა და ვერცხლის ჯილდოა, აგრეთვე სამი ბრინჯაოს მედალი, რომელთაგან ორი პირად პირველობაში მოიპოვა.

გურამ კოსტავამ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების საპატიო კვარცხლბეკისკენაც მრავალგზის გაიკვალა გზა და უმაღლეს საფეხურზეც მოექცა, ერთხელაც საკავშირო თასს დაეუფლა, კიდევ უამრავ ტურნირში გაიმარჯვა, მათ შორის ნაირგვარ საერთაშორისო ასპარეზობაში.

და, მაშინ, როცა თავისი დიდების ზენიტში იყო, როცა მისი დაშნა სულ უფრო ელვარებდა და მას თავისი მესამე ოლიმპიური თამაშებისთვის ლესავდა, საკავშირო ნაკრების ხელმძღვანელობამ დისკვალიფიკაციით დასაჯა...

მაგრამ ამაზე ქვემოთ, ახლა კი გავიხსენოთ ის შორეული დრო, როცა გურამ კოსტავა ფარიკაობაში მოვიდა, უფრო სწორედ, ამას თავადვე იხსენებს 68 წლის ვეტერანი.

— თბილისის 55-ე სკოლაში, მაშინდელ გიმნაზიაში ვსწავლობდი, გვიამბობს გურამ კოსტავა — როგორც ყველა ჩემი თანატოლი ბიჭი, მეც ფეხბურთით ვიყავი გატაცებული. ერთ მშვენიერ დღეს ბიჭიკო მესხი გვეწვია, რამდენიმე ბიჭი შეგვარჩია და ჩემთან წამოდით, ნამდვილ მოფარიკავეებად გაგზარდოთო. თეთრ საფარიკაო კოსტიუმებში გამოწყობილმა, ნიღბიანმა სპორტსმენებმა და მათი იარაღის წკარუნმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, თუმცა თავიდან იქ უფრო გასართობად, კვირაში ორ-სამჯერ დავდიოდი და ძველებურად ბურთს დავდევდი. მერე და მერე საფარიკაო ბილიკებმა სულ უფრო შემიტყუეს, ბოლოს კი, როცა სმოლენსკში მოსწავლეთა საკავშირო პირველობაზე წამოიყვანეს და იქ მეორე ადგილი დავიკავე, სერიოზულად დავიწყე ვარჯიში. სმოლენსკის მერე კიდევ ერთ საკავშირო პირველობაზე, ამჯერად 17 წლის სპორტსმენთა შორის გავხდი პრიზიორი, ამას თვრამეტწლამდელთა შეჯიბრებებზე წარმატებაც მოჰყვა, ბოლოს კი უფროსთა შორის საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც შემიყვანეს...

გურამ კოსტავამ ეს ისე მითხრა, თითქოს ჩვეულებრივი რამ მომხდარიყოს. არადა, ქვეყნის ნაკრებში მოსახვედრად მოფარიკავემ თავისი ძალა და ოსტატობა არა მხოლოდ ჩემპიონობით, არამედ საკვალიფიკაციო თუ საერთაშორისო ტურნირებში სტაბილური გამარჯვებებითაც უნდა დაამტკიცოს, ეს კი მხოლოდ გამოცდილებს ძალუძს. არადა, კოსტავა იმ დროს საფარიკაო ნაკრებისთვის ახალგაზრდა 20 წლის იყო. ამასთან, იგი არათუ ჩემპიონი, ჯერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პრიზიორიც კი არ იყო. ბუნებრივია, არც გამოცდილება



ტოკიოს ოლიმპიური კვარცლბეკი
(მარჯვნიდან): გურამ კოსტავა, გრიგორი კრისი და ჰენრი ჰოსკინსი



რომის ოლიმპიური საფარიკაო დარბაზი

უმაგრებდა ზურგს. ამიტომაც საკავშირო ნაკრებში მისმა მიწვევამ ბევრი გააკვირვა კიდეც.

— მაშინ მე ბურევესტნიკელი ვიყავი. — იხსენებს კოსტავა — იმ დროს რაპირიდან დაშნაზე გადავერთე. მიუხედავად ამისა, რვა საუკეთესოს შორის მოვხვდი. ეს ზღაპარივით იყო. იმ ჩემპიონატის ნახევარფინალში ლევ ზაიჩეკთან დავმარცხდი. ის მაშინ 33 წლისა იყო. ეტყობა, მან ჩემში რაღაც დაინახა და, იმავე წელს საბჭოთა მოფარიკავეების მწვრთნელად რომ დანიშნეს, გუნდში მიხმო. ეს უკვე მეორე ზღაპარივით ამბავი იყო. ამგვარად, ზაიჩეკი ჩემი მეორე მწვრთნელი გახდა. წელიწადში თერთმეტი თვე სულ საკავშირო შეკრებებზე ვიყავი და მასთან ვვარჯიშობდი.

გურამ კოსტავამ პირველ წარმატებებს თუ რაპირით მიაღწია, მერე თავისი უმთავრესი სპორტული ნადავლი დაშნით მოიპოვა.

— დაშნით ბრძოლაში, რაპირისგან განსხვავებით, ჩხვლეტა ყველგან ითვლება. აქ მსაჯის მიკერძოებაც უფრო თვალში საცემია. ამიტომ ისინი ვერ გატყუებენ და უფრო ობიექტურნი არიან. ბრძოლის შედეგიც სამართლიანია. ამიტომაც რაპირა დაშნაზე გავცვალე...

თავის ხანგრძლივ კარიერაში გურამ კოსტავამ ბევრი დასამახსოვრებელი ფარიკაობა ჩაატარა, მაგრამ მათგან განსაკუთრებული მაინც 1961 წელს ტურინში, მსოფლიოს ჩემპიონატზე გარდახდენილი ბრძოლების საოცარი სერია იყო. მაშინ კოსტავა 22-ჯერ იხმეს საფარიკაო ბილიკზე, როელიც 21-ჯერ გამარჯვებულმა დატოვა, რაც თავისებური რეკორდი იყო. იმ წელიწადს საბჭოთა დაშნით მებრძოლნი რომ პირველად გახდნენ მსოფლიოს ჩემპიონები, ამაში კოსტავამ ლომის წილი შეიტანა და, რაღა გასაკვირია, რომ ქართველი მოფარიკავე იმ შეჯიბრების გმირად აღიარეს.

ძალზე დასამახსოვრებელი იყო იმავე წელს ლენინგრადში, საკავშირო ჩემპიონატში ყაზანელ ვალერი ბაზარევიჩთან გამოსვლა. მართალია, ბაზარევიჩს ოქროს მედლის უპირველეს მაძიებლად არ მიიჩნევდნენ, მაგრამ მან ერთი მეორის მიყოლებით დაამარცხა ფავორიტები და ფინალში კოსტავას პირისპირ დადგა. ის ბრძოლა გურამ კოსტავამ როგორღაც შებოჭილად დაიწყო. ერთხანს ასევე გააგრძელა და ბოლოს მარცხის საფრთხის წინაშეც დადგა, როცა ანგარიში 4:2 გახდა ბაზარევიჩის სასარგებლოდ.

ყაზანელს გამარჯვებამდე ერთადერთი ჩხვლეტაღა აშორებდა.

და ალბათ ამ მომენტში კოსტავას გაახსენდა რომის ოლიმპიურ სარბიელზე ალბერტო პელეგრინოსთან შეხვედრა...

თუმცა, ამაზე ქვემოთ, ახლა კი კვლავ ბაზარევიჩთან მებრძოლ კოსტავას დავუბრუნდეთ, რომელსაც წამით მუზარადი მოუხსნია. ამ მომენტს გურამის მეგობარი და თანაგუნდელი, ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ნუგზარ ასათიანი ასე აღწერს თავის წიგნში „მოფარიკავის ჩანაწერები":

„მისი ცისფერი თვალები უჩვეულოდ ელავდნენ. შუბლი ოფლის წვეთებს დაეცვარა. ჩვენკენ გამოიხედა და უხერხულად გაეღიმა. რა უნდა გვეთქვა მისთვის? გურამი თვითონ უნდა გამოსულიყო უიმედო მდგომარეობიდან. რამდენიმე წამის შესვენებამ დადებითად იმოქმედა გურამზე. იგი სავსებით გარდაიქმნა. ახლა საფარიკაო ბილიკზე მაყურებელი ხედავდა თვითდაჯერებულ კაცს, მტკიცესა და აუღელვებელს. იგი ფარიკაობის მასწავლებლის მსგავსად მეტოქეს უჩვენებდა ფარიკაობის ხელოვნების სწორუპოვარ ნიმუშებს. ასეთი კოსტავას წინააღმდეგ ბრძოლა ბაზარევიჩის შესაძლებლობას აღემატებოდა. ანგარიში ჯერ გათანაბრდა, ხოლო შემდეგ მაყურებელმა მქუხარე ტაშისცემით დააჯილდოვა გამარჯვებული ქართველი მუშკეტერი".

გურამ კოსტავას ტაშს უკრავდნენ რომის ოლიმპიურ თამაშებზეც. მარადიულ ქალაქში კოსტავამ გუნდურ პირველობაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, რაშიც ჩვენმა მოფარიკავემ უდიდესი წვლილი შეიტანა. რომაულ საფარიკაო ბილიკზე საბჭოთა გუნდმა პირველ წრეში ლიბანელებთან ფრედ (8:8) დაასრულა შეხვედრა, მერე სძლია შვეიცარიელებს (9:3), იაპონელებს (9:0), მეოთხედფინალში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენლებს (9:2), ნახევარფინალში კი თავად დამარცხდა (6:9) მასპინძლებთან, რომლებიც ამ დისციპლინაში მთელს მსოფლიოში უძლიერესები იყვნენ და ოლიმპიური ჩემპიონებიც ისინი გახდნენ. ბოლოს ბრინჯაოს მედლებისთვის ბრძოლაში, უკვე წრიულ პაექრობაში, საბჭოელებმა უნგრელებს მოუგეს (9:5).

ამ წარმატების მოსაპოვებლად კოსტავა თავდაუზოგავად იბრძოდა და ოთხივე შეხვედრა მოიგო, ხოლო მთელი ოლიმპიური პაექრობის განმავლობაში არც ერთი შეხვედრა არ წაუგია, ფრედ კი მხოლოდ ლიბანელ იბრაგიმ ოსმანთან და იტალიელ ჯან ლუიჯი საკაროსთან ასპარეზობა დაასრულა.

პირად შეხვედრაში, რომელშიც 150 მოფარიკავე იბრძოდა, კოსტავას ბევრი მძიმე პაექრობა გარდახდა, მაგრამ ყველაზე საინტერესო მაინც მასპინძლებთან იყო.

მეოთხე ფინალური ბრძოლებიდან ერთ-ერთში, ალბერტო პელეგრინოსთან ბრძოლაში გულშემატკივრებით გამხნევებული და პირველი წარმატებით ფრთაშესხმული იტალიელი სულ ახლოსაა გამარჯვებასთან. ანგარიშია 4:1 და იტალიელს გამარჯვებამდე ერთადერთი ჩხვლეტა აშორებს, მაგრამ კოსტავამ ნერვები მოთოკა, თითქოს ამ [illegible] სთვის შემონახული რაღაც რეზერვი აამოქმედა და შეტევაზე გადავიდა. ქულათა [illegible] ელისთვის გაიყინა, ქართველის კი ჩაირთო: 2:4, 3:4, 4:4.

აქ დარბაზი ლამის დაინგრა, იტალიელს საკუთარი გულშემატკივრები განუდგნენ, სტვენა, ლანძღვა და ქოქოლა დააყარეს. ამან პელეგრინო საბოლოოდ გატეხა.

სამწუხაროდ, გურამ კოსტავამ ნახევარფინალიდან ვეღარ გააღწია. მას გზა გადაუღობა მეორე იტალიელმა, ჯუზეპე დელფინომ, რომელმაც ჩვენს მოფარიკავეს ძალზე დაძაბულ ბრძოლაში სძლია (6:5), თუმცა მანამდე, მეოთხედფინალში მათი შეხვედრა ქართველის გამარჯვებით დასრულდა (5:4).

— მაშინ პირად პირველობაში რომ უმედლოდ დავრჩი, გული ძალიან არ მტკენია, — იხსენებს კოსტავა, — ბოლოს და ბოლოს, მომავალ ჩემპიონ დელფინოსთან დავმარცხდი, აი, [illegible], ტოკიოს ოლიმპიურ თამაშზე კი, სადაც პირად პირველობაში უკვე ბრინჯაოს მედალი მოვიპოვე, გული დამწყდა, რომ ჩემპიონი ვერ გავხდი.

არადა, მანამ ფინალამდე გზას გაიკვლევდა, გურამ კოსტავას მრავალი ბრძოლის გადატანა და გამარჯვება მოუხდა, მათ შორის მაშინ წლების მსოფლიოს და ოლიმპიურ ჩემპიონებთან. ამათგან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ავსტრიელი როლანდ ლოსერტი, ფრანგი კლოდ ბურკარი და იტალიელი ჯან ლუიჯი საკარო. ფინალში გასულმა კოსტავამ უკვე წრიული სისტემით ბრძოლისას მომავალ ჩემპიონთან, კიდევ თანაგუნდელ გრიგორი კრისთან გაიმარჯვა (5:2), მაგრამ რომის ოლიმპიურ ჩემპიონ საკაროსთან დამარცხდა (4:5), თუმცა მერე მასთან ბრინჯაოს მედლისთვის დამატებითი ბრძოლა გახდა საჭირო, სადაც კოსტავამ სრულფასოვანი რევანში აიღო (5:0).

აი, ამიტომაც იყო, რომ კოსტავას ის ბრინჯაო [illegible] ოქროზე დარჩა, თუმცა, რაც თავისი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში პირად თუ გუნდურ ბრძოლებში მოიპოვა, მსგავსი კოლექციით თავს ბევრი ვერ მოიწონებს.

მოფარიკავეთა ნაწილი, მოგეხსენებათ, გაცილებით უკეთ გამოდის პირად პირველობაში, ძლიერნი კი ნამდვილი გუნდური მებრძოლები არიან. ჩვენ გაგვიჭირდება იმის დადგენა, თუ რომელი მებრძოლთა კატეგორიას მიეკუთვნება გურამ კოსტავა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამის განსაზღვრა თავად ჩვენი წერილის გმირსაც უჭირს.

გურამ კოსტავა თავისი ჯილდოების კოლექციას პირად პირველობაშიც შეავსებდა და გუნდურშიც, იქნებ მედლების ყველაზე ოლიმპიური ოქროთიც გაემდიდრებინა, მაგრამ მეხიკოს ოლიმპიური თამაშებისთვის სამზადისისას, როცა ყველა შესარჩევი შეჯიბრება განვლო და მხოლოდ [illegible] აშორებდა გუნდში დასამკვიდრებლად, მან ტურნირზე ჩასვლა დააგვიანა, რისთვისაც ნაკრებიდან გარიცხეს. ორი წლის მერე დისკვალიფიკაცია კი მოუხსნეს, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

ახლა გურამ კოსტავა უკვე ათი წელიწადია, რაც კუბაშია და თავის საფარიკაო გამოცდილებას იქაურებს უზიარებს.

**ავთანდილ გურასაშვილი**

ჭადრაკი

# 64 ჩემპიონატის გამარჯვებულებს 12%-ით დაბეგრავენ

**გუშინ** საქართველოს ჭადრაკის სასახლეში ჩვენი ქვეყნის 64-ე ჩემპიონატი გაიხსნა, სადაც 36 მოჭადრაკე გამოვა. ჩემპიონატის დებულების თანახმად, ყველა მონაწილის რეიტინგი 2340-ს აღემატება, ტურნირი კი შვეიცარიული სისტემით წარიმართება და თამაშები ყოველდღე პირველ საათზე დაიწყება.

„ჭადრაკის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ჩემპიონი და მეორე ადგილოსანი ავტომატურად ხვდება ნაკრებში, ხოლო პირველი სამი პრიზიორი ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი ხარჯებით დაფინანსდება“ — განაცხადა ტურნირის დირექტორმა და დიდოსტატმა ლაშა ჯანჯღავამ.

ყრილობაზე ვერ გადაწყვიტეს, სად ჩაეტარებინათ თამაშები, დარბაზში თუ 37-ე ოთახში. ზოგი ამბობდა შესაძლოა, დარბაზში დენი გაითიშოს, ან ტემპერატურა არ იყოს შესაბამისიო, ზოგი თამაშებზე მაყურებლების დასწრებას მოითხოვდა, 37-ე ოთახი კი სივიწროვის გამო ამის საშუალებას არ იძლევა. რამდენიმეწუთიანი კამათის მიუხედავად, მხარეები ვერ შეთანხმდნენ და გადაწყვიტეს, ამაზე მოგვიანებით იმსჯელონ.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა თბილისის პირველობის პრიზიორი, მოჭადრაკე თამაზ მგელაძე და რეიტინგის სიმცირის მიუხედავად ჩემპიონატში ჩართვა ითხოვა, თანაც თავის სასარგებლოდ რამდენიმე დიდოსტატის ხელმოწერა წარმოადგინა. მიუხედავად ამისა, ჩემპიონატის ორგანიზატორებმა მგელაძეს თამაშის უფლება მაინც არ მისცეს, დებულებაში ასე წერია და კანონს ვერ დავარღვევთო.

დასასრულს სააპელაციო ჟიური აირჩიეს, რომელიც საკამათო ვითარებაში თავის გადაწყვეტილებას გამოიტანს. ჟიურის წევრებიც: მიხეილ კეკელიძე, მერაბ გაგუნაშვილი, მიხეილ მჭედლიშვილი, კონსტანტინე შანავა და სალომე მელია.

რაც შეეხება საპრიზო ფონდს, პირველ ადგილზე გასული 2500 ლარს მიიღებს, მეორეზე — 2000, მესამეზე — 1500. ყველა გამარჯვებულის პრიზი კი, კანონის თანახმად, 12%-ით დაიბეგრება.

**ლაშა გეგეჭკორი**

ჭიდაობა

# ბეგი დარჩია: ახლა წესები უსამართლოა



მურაზ ფილფანიშვილის ფოტო

ბეგი დარჩია

ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრებმა ბულგარულ ევროპირველობაზე თავისუფალთა მიერ ნაჩვენები შედეგი რაოდენობით კი გააუმჯობესა, მაგრამ ხარისხით ვერა. ბეგი დარჩიას შვიდეულიდან ფინალს ვერავინ უწია და გუნდი შინ სამი ბრინჯაოთი დაბრუნდა. ეს გულშემატკივართა ნაწილმა აშკარა წარუმატებლობად ჩათვალა, ჭიდაობაში კარგად ჩახედული ხალხი კი საგანგაშოს ვერაფერს ხედავს. მათგან ოქრო-ვერცხლის ვერმოგების არაერთი დამაჯერებელი მიზეზიც მოვისმინეთ. ყველაზე საინტერესო ცხადია, მაინც ევროპის ჩემპიონატის ნაკრების მწვრთნელისეული შეფასებაა. დარჩიას გუშინ საღამოს შევხვდით და მის ნაუბარს აქვე გთავაზობთ.

— ერთი შეხედვით, ბრინჯაოს მედლების მოპოვება მდიდარი ისტორიის მქონე ქართული ჭიდაობისთვის ვერაფერი წარმატებაა, მაგრამ ალალად გეტყვით, ამ ეტაპზე შედეგით უკმაყოფილო ნამდვილად არ დავრჩენილვარ. თავად განსაჯეთ — შვიდი მოჭიდავიდან ოთხს საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ასეთი დონის ტურნირზე აქამდე არასოდეს უჭიდავია, ორი კი მისთვის უცხო წონით კატეგორიაში ცდიდა ძალას. მანუჩარ კვირკველიასა და ბადრი ხასაიას ოსტატობაში ალბათ ეჭვი არავის ეპარება, თუმცა წონის შეცვლა ასე ადვილად შესაგუებელი არ არის. გარდა ამისა, იყო სხვა წვრილ-წვრილი პრობლემებიც, რომელთა ერთობლიობამაც ხელი შეგვიშალა.

— უმეტესად რომელი მოჭიდავის დარჩენამ დაგწყვიტათ ყველაზე მეტად გული?

— კვირკველიამ ისე დაიწყო, ყველას ეგონა, ვეღარავინ შეაჩერებდა. მოუგო უძლიერეს უკრაინელს, რომელმაც მანამდე მსოფლიოს ჩემპიონი გაამწარა. სამწუხაროდ ამის მერე მანუჩარმა შედარებით სუსტ გერმანელთან წააგო და ამ წონის სამი საუკეთესო მოჭიდავე უმედლოდ დარჩა. როგორც ხედავთ, კენჭისყრაც ჩვენთვის არც თუ იღბლიანად ჩატარდა. ფორტუნამ მართლა ამ შემთხვევაში როდი დაგვაღალატა.

— **სამაგიეროდ, მედალი აიღო ბედინაძემ, რომლისთვისაც ეს პირველი ევროპის ჩემპიონატი იყო.**

— ვერ ვიტყვი, რომ დავითმა სიურპრიზი შემოგვთავაზა. მიუხედავად ასაკის და გამოუცდელობისა, ბულგარეთში წასვლამდეც ვამბობდით მწვრთნელები, რომ მედლის ერთ-ერთი კანდიდატი იყო. აშკარად უკეთეს შედეგს აჩვენებდა მუხრან მაჭუტაძეც, რომ არა ტრავმიანობა. ამ მიზეზით იგი ჩემპიონატისწინა შეკრებებზე სრულყოფილად ვერ დაიტვირთა. ერთხანს მაჭუტაძის ევროპაზე წასვლაც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, მაგრამ ნაკრების მთავარი ექიმის, ზურაბ კახაბრიშვილის დიდი შრომისა და მონდომების შედეგად, ყველაფერი მოგვარდა.

— **მაშასადამე ახალბედების ჭიდაობით მაინც კმაყოფილი ხართ?**

— ეს ბიჭები მომავალი ოლიმპიელები არიან და თავიანთ ძალას მალევე დაამტკიცებენ.

— **მსაჯობა როგორი იყო?**

— საბედნიეროდ, ამ მხრივ საპრეტენზიო არაფერი გვაქვს. ევროპის ჩემპიონატზე ოთხი ქართველი მსაჯი იყო მიწვეული და რომ არ დაგვჩაგრეს, ალბათ მათი დამსახურებაცაა.

— **არც ახალ წესებს მოჰყოლია გაურკვევლობა?**

— გაურკვევლობა არა, მაგრამ სავარაუდოდ ცვლილებები კიდევ გაგრძელდება. ჩემთვის ეს წესები მიუღებელია. პირდაპირ ვიტყვი, უსამართლოდ მეჩვენება, რადგან საშუალო დონის მოჭიდავემ შეიძლება ძალიან ძლიერს მოუგოს. ძალთა თანაფარდობა დარღვეულია და მეტი ყურადღება იღბალს ენიჭება. ეს მარტო ჩემი აზრი როდია. ამიტომ 2005 წელი ახალი წესების ჩამოყალიბების წელი იქნება.

— **წლის მთავარი მოვლენა, მსოფლიოს ჩემპიონატი შემოდგომაზეა. მასზე წასაყვან შემადგენლობას როგორ შეარჩევთ?**

— შემოდგომამდე ჩვენი მთავარი ამოცანა ყველა პერსპექტიული მოჭიდავისთვის შანსის მიცემაა, რათა მსოფლიოზე უძლიერესი გუნდით წავიდეთ. გადამწყვეტი მნიშვნელობა გივი კარტოზიას სახელობის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს ექნება, რომელიც ზაფხულშია. მის გარდა ერთ-ორ საერთაშორისო ტურნირზეც გამოვალთ, დასრულების შემდეგ კი საბოლოო შემადგენლობას დავასახელებთ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# ერთი სკამის სამი მაძიებელი

**ჭიდაობის** ფედერაციის რიგგარეშე ყრილობამდე ორი კვირაა რჩება. 4 მაისს საჭიდაო სამყაროს ერთად შეკრების უმთავრესი მიზანი პრეზიდენტის არჩევა იქნება. პრეზიდიუმის მიერ 11 თებერვალს მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ბაკურ გოგიტიძეს უფლებამოსილება შეუწყდა და ფედერაციის თავკაცობა ყრილობამდე ვიცე-პრეზიდენტ თემურ ყაზარაშვილს დაევალა.

წინასაარჩევნო პერიპეტიები ევროპის ჩემპიონატებმა დაჩრდილა, თუმც სავარაუდო კანდიდატებზე ბერი ჭორ-მართალი ბულგარული პირველობის დღეებშიც შევიტყვეთ.

გუშინ ევროპამოვლილმა ნაკრებმა პრესკონფერენცია მოაწყვეს და ვარნული შეხვედრები შეაფასეს, მერე კი ერთ-ერთი მთავარი კანდიდატის ვინაობაც გაცხადდა.

პარლამენტარმა ვალერი გელაშვილმა არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ჭიდაობისთვის დასახარჯი თანხა პირდაპირ დაასახელა. აქაოდა, თუ პრეზიდენტი გავხდი, სპორტის ამ სახეობას წელიწადში 100 ათას დოლარს დავახარჯავ. ფალავნოა კლუბსაც გავარემონტებ და ხელფასებსაც გავზრდიო.

გელაშვილმა ჯიბეზე ხელი გუშინვე გაიკრა. ევროპის ჩემპიონ ლუკა კურტანიძეს 1 500 დოლარი უფეშქაშა, ხოლო ბრინჯაოს პრიზიორებს — ბესიკ გუჩაშვილს, დავით ბედინაძეს, ბადრი ხასაიასა და მირიან გიორგაძეს — 500-500.

გუშინვე შევიტყვეთ, რომ ვალერი გელაშვილის გარდა უკვე ორი კანდიდატიც გამჟღავნებულა. ასევე პარლამენტარი კახა გეწაძე და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ყაზარაშვილი.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ჩოგბურთი

# აიდოსტზელა იმარჯვა

**OPEN SEAT GODO 2005**
**ბარსელონა. თიხნარი.**
**საპრიზო 765 000 ევრო**

**მეორე წრე**

**გილერმო კორია (4, არგენტინა)** — პეტერ ვესელსი (ჰოლანდია) 6:2 6:7 (4:7) 6:4; **ალბერტო მარტინი** (ესპანეთი) — ტომი რობრედო (6, ესპანეთი) 6:1 6:4; **რადეკ შტეპანეკი** (11, ჩეხეთი) — სანტიაგო ვენტურა (ესპანეთი) 6:3 6:2; **ხუან კარლოს ფერერო** (ესპანეთი) — ფელისიანო ლოპესი (12, ესპანეთი) 6:4 6:4; **რაფაელ ნადალი** (8, ესპანეთი) — ჟილ მიულერი (ლუქსემბურგი) 6:0 6:2

**აშშ-ის თიხნარპირველობა**
**ჰიუსტონი. თიხნარი.**
**საპრიზო 355 000 დოლარი**

**პირველი წრე**

**ენდი როდიკი** (1, აშშ) — მატიას ბიოკერი (აშშ) 6:2 6:3; **ანდრე აგასი** (2, აშშ) — მიხალ ტაბარა (ჩეხეთი) 6:2 7:6; **ტომი ჰაასი** (3, გერმანია) — კრისტოფ ფლიგენი (ბელგია) 6:3 7:5; **ანტონი დიუპუა** (საფრანგეთი) — ნიკოლას მასუ (4, ჩილე) 6:4 6:0

**დღის** უმთავრეს მოვლენად ტურნირის შარშანდელი ჩემპიონის, ესპანელი ტომი რობრედოს ოტება იქცა.

რობრედო, ვინაც შარშანდელ ფინალში არგენტინელი გასტონ გაუდიო დაამარცხა, თვისტომმა ალბერტო მარტინმა გააბუნძულა. ეს მარტინი — უკეთუ საქმეში მაინცდამაინც ჩახედული არ ბრძანდებით — წლეულს იქიდან მაინც გეხსომებათ, რომ ბრაზილიის ღია პირველობის ფინალში გააღწია და იქ ვუნდერმუჩაჩო რაფაელ ნადალისგან იძლია.

რობრედოს წინააღმდეგ ის თავიდანვე აგრესიულად გაირჯა და რაკიღა ტემპი არც მერე დაუგდია, სეტისწაუგებლად გაიკაკა კიდეც.

**ტურნირი** რიხიანად დაიწყეს შარშანდელმა ჩემპიონმა ტომი ჰაასმა, ორგზის ჩემპიონმა ანდრე აგასიმ და შარშანდელ ფინალში ჰაასისგან ძლეულმა ენდი როდიკმა. 34 წლის არმენოამერიკელმა ჩეხი მიხალ ტაბარა პირველ სეტში უპრობლემოდ დაიმორჩილა, მაგრამ მეორე სეტში გაუჭირდა და აიდოსტზელა იმარჯვა. როდიკმა კი სულაც ძალდაუტანებლად გაიიმასქნა თვისტომი მეჩოგნე, რომლის გვარიც ან ბიოკერია, ან ბუკერი, ანაც ვაფშემც ბოეკერი.

რაც შეეხება ტომი ჰაასს, მან ისე რა შეხლაში ბელგიელ ფლიგენს აჯობა, რომლის გვარიც თქვენ ეგებ სხვაგან ვლიგენადაც ამოიკითხოთ.

**არტემ ჩაჩანიძე**



ხუან კარლოს ფერერო







# გაიძვერები, ბანდიტები და ბანდიტთა დამჭერები

**ლონდონის** მარათონი, რომელიც ამ კვირას გაიმართა, საიუბილეო, 25-ე იყო. ბრიტანეთის დედაქალაქის ქუჩებში 33 ათასი მორბენალი გამოვიდა. მათ შორის იყვნენ პროფესიონალებიც, მოყვარულებიც და, უბრალოდ შერეკილებიც, რომლებიც უჩვეულო კოსტიუმებში გამოწყობილნი დარბოდნენ.

გამარჯვებულთა გვარები ჩვენი მკითხველისთვისაც მეორე დღესვე გახდა ცნობილი, მაგრამ ამ შეჯიბრებას ყავდა აუღიარებელი გმირებიც, რომელთა სახელებს, ალბათ, ვერც ვერასოდეს გავიგებთ.

ეს გმირები ძალიან ბევრს გაიღებდნენ საიმისოდ, რომ აუღიარებელთა კატეგორიიდან აღიარებულებში მოხვედრილიყვნენ. ისინი ამას ცდილობდნენ კიდეც დაშვებული თუ დაუშვებელი წესებით და, ზოგიერთები, როგორც იტყვიან, არაფრის წინაშე უკან არ იხევდნენ.

1981 წლიდან როცა ლონდონის მარათონს ჩაეყარა საფუძველი მისი ბევრი მონაწილე დღემდე ცდილობს დიდების გვირგვინამდე მიღწევას და საამისოდ არაფერს ერიდება. თუმცა, ამის შესაძლებლობა მათთვის სულ უფრო და უფრო მცირდება. დაუმსახურებელი გვირგვინის მოსაპოვებლად ვიღაცა ცდილობს მარათონის ტრასაზე არსებული 950 ტუალეტიდან ერთ-ერთში შერბენას, იქ მარათონის მონაწილის ფორმაში გადაცმას და მერე ფინიშის სიახლოვეს მორბენლებთან შეერთებას, რათა მხნედ პირველმა მიირბინოს ფინიშთან.

ვიღაც „ჭკვიანი" მარშრუტს ამოკლებს, ვიღაც ტაქსის მომსახურებას მიმართავს, ზოგიც მეტროს საშუალებით [illegible] მიზანს.

მიმომხილველები ფიქრობენ, რომ შეჯიბრების ორგანიზატორებმა როგორც არ უნდა მიადევნონ თვალყური მარათონელებს, რაც არ უნდა თანამედროვე აღჭურვილობა (სარბენ ფეხსაცმელში ელექტრონული ჩიპების „შერწყმა", ფოტო და ვიდეო თვალთვალი) გამოიყენონ სულ ერთია, მოიძებნება ოცი „ათლეტი" მაინც, რომელიც ფინიშისკენ მიმავალ გზას გაიიოლებს.

თუმცა, ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ყველას ყველაფერი შერჩება — გაივლის რამდენიმე წუთი, დღე ან კვირაც და, როცა მსაჯები გაანალიზებენ ყველა საშუალედო შედეგს და სიმართლე უეჭველად ამოტივტივდება, როგორც ჟოზე მაურინიუს თქმისა არ იყოს, „როგორც ზეითუნის ზეთი წყლის ზედაპირზე".

მაგრამ ცრუ ჩემპიონთათვის მთავარი ისაა, რომ ისინი რამდენიმე დღისა თუ კვირის განმავლობაში ამაყად ატარებენ ლონდონის მარათონში გამარჯვებულის გვირგვინს. თუმცა, ეგ კია, რომ სიმართლის გარკვევის შემდეგ მათ სახელებს ოფიციალური შედეგებიდან ამოშანთავენ.

მარათონულ დისტანციაზე ნაირგვარ ეშმაკობათა და მამაძაღლობათა ტრადიციას იმთავითვე ჩაეყარა საფუძველი. ჯერ კიდევ თანამედროვეობის პირველსავე ოლიმპიურ თამაშებზე, 1896 წელს ბერძენმა სპირიდონ ბელოკასმა მარათონულ რბენაში მესამე ადგილი დაიკავა, მაგრამ მოგვიანებით თავადვე აღიარა, რომ დისტანციის ნაწილი ურემში შებმული ცხენის დახმარებით გაიარეო.

1904 წელს სენტ ლუისის ოლიმპიურ თამაშებზე ნიუიორკელმა ფრედ ლორცმა ფინიშთან ყველას დიდი უპირატესობით მიასწრო. და ის იყო ამაყად გაჯგიმულმა ფოტოკორესპონდენტების ობიექტივების წინ პოზიორობა დაიწყო და აშშ-ის პრეზიდენტ რუზველტის ქალიშვილისგან მილოცვებსაც ღებულობდა, როცა შეჯიბრების ორგანიზატორებს აცნობეს, ამ კაცმა 11 მილი მანქანით გაიარაო და მას ოქროს მედალი ჩამოართვეს (იგი გადაეცა მეორე ადგილზე გასულ მისავე თანამემამულე თომას ჰიკსს), რომელმაც როგორც ამბობენ, პაპანაქება სიცხეს გაუძლო თავისი მწვრთნელების დახმარებითაც, გზადაგზა ბრენდის რომ აყლაპებდნენ.

ამა თუ იმ მარათონს ახსოვს უამრავი კურიოზული შემთხვევა თუ მარათონელის მრავალი მამაძაღლობა, თანამედროვე რბენის ისტორიიდან კი ყველაზე გახმაურებული იყო როზი რუისის საქციელი, რომელმაც 1980 წელს ბოსტონის მარათონში მესამე ადგილი დაიკავა. როზი რუისი ალბათ პირველიც იქნებოდა, მას რბენაში ცოტათი მაინც რომ წაევარჯიშა.

რუისმა მაშინ მოახერხა, რომ ფინიშთან სულ ახლოს შეერთებოდა მარათონის მონაწილეებს. ბუნებრივია, მას მათი გასწრება აღარ გაუჭირდა, რისი მოწმეებიც მრავლად აღმოჩნდნენ.

რა თქმა უნდა, ბოსტონის მარათონი ეს დიდი სპორტული მოვლენაა, მაგრამ იგი ყოველწლიურად ტარდება და ამიტომაც ბევრი რამ მეხსიერებიდან იშლება, მათ შორის გამარჯვებულთა სახელებიც, აი, როუზის სახელს კი ვერ ივიწყებენ.

ეს ქალბატონი დისტანციაზე მაშინ გამოჩნდა, როცა ფინიშამდე 1 მილიღა რჩებოდა. მას ტომარისებური მაისურა ეცვა და სულაც არ ჰგავდა სპორტსმენს. და მადლობა ღმერთს, რომ ჩემპიონის სახელით რვა კვირაზე მეტხანს ვერ სარგებლობდა, მერე კი, მას ნიღაბიც ჩამოხსნეს.

სპეციალური „ქვედანაყოფები", რომელიც გაიძვერებს მარათონში ავლენენ, თავიანთ თავს ხუმრობით უწოდებენ BANDIT CATCHERS-ს ანუ „ბანდიტთა დამჭერებს".

„ბანდიტთა დამჭერების" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია თაღლითთა დისტანციიდან გამოძევებაა, რომლებიც არაოფიციალური ნომრებით გამოდიან. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ნომრებში „ჩამონტაჟებულია" შტრიხული კოდები, მორბენლები მათ გაყალბებასაც ახერხებენ. ამისთვის, ისინი ამ კოდებს სადაც გინდა იქ შოულობენ. მაგალითად, შეუძლიათ გამოიყენონ ის კოდი, რომელიც ტომატის სოუზში დამზადებული ლობიოს კონსერვის ქილა.

— გაიძვერათა ნაწილი, რაც არ უნდა უცნაური იყოს, არიან ისინიც, რომლებიც ნაირგვარი საქველმოქმედო ფონდების რეკლამას ეწევიან — ამბობს ლონდონის მარათონის ყოფილი „ბანდიტთა დამჭერი" ალან სტორი — ეს გასაგებიცაა. აბა, რა აზრი აქვს ისეთ ქველმოქმედებას თუ ფინიშამდე ვერც მიაღწევს [illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible] 23 დღით [illegible] 2 წლით [illegible]

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# ქალები და ძალები



# ახალი კაცი

რაფაელ ნადალმა სულ ახლახან დაიგდო სახელი ჩოგბურთის სამყაროში მონტე კარლოს მასტერსში გამარჯვებით. ახლა ნადალი ბარსელონის ღია პირველობაში ჩაბმულა და თავისი პლაკატის წინ ჩამომდგარა იდუმალი მზერით.



რუმინელი მარიორა მუნტიანუ (ქერა) და ხერა პერესი ესპანეთიდან ძალიან დიდი მონდომებით ექაჩებიან შტანგას. ფასი ყველა წონაში დიდია — სოფიის ფიცარნაგზე ევროპის ჩემპიონატი მიმდინარეობს.





# რიტას ვილნიუსი

შერლერუაში ლიტვის „რიტას ვილნიუსმა“ „ალფა მაკედონიკო“ დაამარცხა და ულების თასი მოიგო. ძაან კალათბურთი იყო, ლიტველებმა მხოლოდ ოთხი ქულით აჯობეს მეტოქეს.







# მეგობრები უდაბნოში

აქლემების დოლი ერთია, მაგრამ კაცი მხედარი რობოტ მხედარს ესაუბრებოდეს... ნეტავ რაო?


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი პირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაურიძე
[illegible]
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლონჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი ჯიხაშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბუხნიკაშვილი, ხათუნა ბუხუტიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან კრისთაკი, ეკატო ლეკალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზურაბ ჩიხიაშვილი, თინათინ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge